ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 2022 №251 (9029) ფასი: 80 თეთრი

ქრთამის მიცემისა და აღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

გვ.5

გვ.5

პოლიციამ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ნარკოდანაშაულის ფაქტებზე 62 პირი დააკავა. მათ შორის 46 ნარკორეალიზატორია

რა პირობა დაარღვია სააკაშვილმა და რას ვერ პატიობს მას „ქართული ოცნება“?!

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილი, არც საქართველოში შინაპატიმრობაში და არც უცხოეთში გადაყვანილი, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი, შესაძლოა, პოლონიუმით მოწამლეს“

ნინო ბურჯანაძე: „კადრებით ვერ გადაფარავენ, სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ ადამიანის ორგანიზმში დარიშხანი და მძიმე მეტალებია აღმოჩენილი“

გვ.2

„რას ითხოვთ ამ პრეზიდენტისგან, რომელიც, გვახსოვს, როგორ ავირჩიეთ, გვარი და სახელი მისი ეწერა და სურათები – ბიძინა ივანიშვილის, მდინარაძისა და კობახიძის“

„სააკაშვილი სულ რომ ცალ ფეხზე ცეკვავდეს, ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, პატიმარი როგორ მოიწამლა“

გვ.4

„თუ სააკაშვილი გაათავისუფლეს, ეს „ქართული ოცნების“ ნების გამოხატულება იქნება“

მირიან მირიანაშვილი: „ამჟამად პატიმრობაში მყოფი ათი პრეზიდენტიდან სააკაშვილი დასავლეთიდან გამოსარჩლების მხრივ ყველაზე ბოლო ადგილზეა“

„ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოებას სააკაშვილის სიკვდილი ნამდვილად არ უნდა“

გვ.3

გვ.2

მეუფე ნიკოლოზი სააკაშვილზე: „ძალიან გამხდარია. ადამიანის უფრო მეტად გახდომა თუ შეიძლება, ვერ წარმოიდგენია“

4 გიორგი მარგველაშვილი: „სააკაშვილის წამება რუსეთის ერთადერთი წარმატებაა“

5 ქალისთვის ტელეფონის მოპარვის გამო მგზავრებმა თანამგზავრი მატარებლიდან გადააგდეს

6 რამ გააბრაზა პუტინი

6 შვეიცარიაში ტბის ფსკერიდან 230 ლიტრი ჯინი მოიპარეს

1993230720223

„სააკაშვილი სულ რომ ცალ ფეხზე ცეკვავდეს, ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, პატიმარი როგორ მოიწამლა“

ნინო ბურჯანაძე: „კადრებით ვერ გადაფარავენ, სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ ადამიანის ორგანიზმში დარიშხანი და მძიმე მეტალებია აღმოჩენილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

– ქალბატონო ნინო, ხვალ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესია. ბოლო პერიოდში მთავარ პოლიტიკურ თემად იქცა სააკაშვილის ჯანმრთელობის საკითხი. გუშინ უკრაინის პრეზიდენტმა მოუწოდა ჩვენს ხელისუფლებას, რომ გადასცენ უკრაინას ან გაუშვან დასავლეთში სამკურნალოდ. რას ელით, რამდენად გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ?

– სიმართლე გითხრათ, ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები. მოლოდინიც არ შეიძლება გქონდეს, როცა ერთი ადამიანის სურვილზეა გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებული. ეს ან ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება რომ იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ ლოგიკაზე, სამართალსა და სამართლიანობაზე, მაშინ, რა თქმა უნდა, მოლოდინები შეიძლება გქონდეს, მაგრამ როცა ერთი ადამიანის გადასაწყვეტია და მის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული გადაწყვეტილება, ბუნებრივია, ვერანაირ პროგნოზს ვერ გააკეთებ. რაც არ უნდა ილაპარაკოს „ქართულმა ოცნებამ“, ცხადია, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის ძალიან დამძიმებული, ვითარება არის ძალიან სერიოზული, პრობლემური და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ ადამიანის მდგომარეობა მძიმდება, რომ შესაძლოა ფატალური შედეგი დადგეს... მართლაც რომ დადგეს ფატალური შედეგი, ეს იქნება ძალიან მძიმე პოლიტიკური გამოწვევა საქართველოს ხელისუფლებისთვის.

– ქვეყნის იმიჯსაც ხომ სერიოზულად დააზიანებს?

– რა თქმა უნდა, ქვეყნისთვისაც, მაგრამ ხელისუფლებისთვის ეს იქნება ძალიან მძიმე და სულ ტყუილად ჰგონიათ, რომ თუ მოხდება, მერე რა...

– მოწამვლის ფაქტზე რას იტყვით?

– რაც შეეხება თავად ამ ფაქტს, სამედიცინო დასკვნა დაიდო, სადაც მოწამვლასა და მძიმე მეტალებზეა საუბარი. ეს საერთოდ კატასტროფაა ხელისუფლებისათვის! ამას უსერიოზულესი გამოძიება სჭირდება და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამაზე თვალს დახუჭავს, იმიტომ, რომ სააკაშვილი არ მოსწონს, ხელს აწერს იმას, რომ ხვალ მას, მისი ოჯახის წევრს, მის შვილს, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება იგივე გაუკეთონ ამ ქვეყანაში! ძალიან ცოტა ადამიანი შეიძლება იყოს საქართველოში, მე არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რა თქმა უნდა, ვისი ოჯახის წევრებიც დაიღუპნენ წინა ხელისუფლების დროს. იმ ადამიანების მიმართ არანაირი პრეტენზია არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს. მაგრამ, ამ ადამიანების გარდა, ნებისმიერი სხვა ადამიანი, იშვიათად აღმოჩნდება ვინმე, ვისაც შესაძლოა მეტი პრეტენზია ჰქონდეს სააკაშვილთან, ვიდრე მე, ჩემს ოჯახსა და ჩემი გუნდის წევრებს! თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დღეს აქ საქმე არ არის სააკაშვილზე, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, კარგია თუ ცუდია, კარგად იქცეოდა თუ ცუდად იქცეოდა. თუ ხელისუფლებას შეუძლია, პატიმარი ციხეში მოწამლოს, ეს არის ეგზისტენციალური საფრთხე ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც შეიძლება ხვალ ხელისუფლებას გადაუდგეს წინ. პირველ რიგში ხელისუფლების ინტერესშია, რომ ამ კითხვაზე გასცეს პასუხი!

– ბრალდება ძალიან მძიმეა.

– რა თქმა უნდა, უმძიმესი ბრალდებაა და ამ დასკვნას პასუხის გაცემა სჭირდება.

– თუმცა ხელისუფლებისგან სრულიად საპირისპირო განცხადებებს ვისმენთ. კადრები გამოაქვეყნეს, ნახეთ, კარგადაა სააკაშვილი და სიმულანტობსო.

– კადრებით ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაფარავენ. სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ ადამიანის ორგანიზმში დარიშხანი და მძიმე მეტალებია აღმოჩენილი. რაც არ უნდა კადრები აჩვენონ, სულ რომ ცალ ფეხზე ცეკვავდეს სააკაშვილი, ორგანიზმში ეს ნივთიერება საიდან აღმოჩნდა, ამას პასუხი ხომ უნდა?! თავისთავად ამ კადრების გამოქვეყნება იყო ასევე ძალიან ცუდი ფაქტი ხელისუფლების მხრიდან და კიდევ ერთხელ გაგვახსენდა, რომ ეს არის ის ხელისუფლება, რომლის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სამწუხაროდ, უმძიმესი ფაქტები მოხდა, როცა ადამიანებს პირადი ცხოვრების კადრები გამოუქვეყნეს. ეს მიუღებელია და დასაგმობია ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ.

„რას ითხოვთ ამ პრეზიდენტისგან, რომელიც, გვახსოვს, როგორ ავირჩიეთ, გვარი და სახელი მისი ეწერა და სურათები – ბიძინა ივანიშვილის, მდინარაძისა და კობახიძის“

– საკმაოდ კრიტიკულია ხელისუფლების მიმართ დასავლეთი, რეზოლუცია გამოაქვეყნეს, ასევე კონკრეტული განცხადებები და მოწოდებებიც მოვისმინეთ, თუმცა ცალსახა იყო ამაზე ხელისუფლების პასუხი, კალაძის განცხადება მოვისმინეთ, თუკი დამნაშავის დასჯის გამო უნდა დავთმოთ კანდიდატის სტატუსი, დაე, დავთმოთო. რას ნიშნავს ეს განცხადებები? საერთოდ არავის აზრი და შეფასება არ აინტერესებთ?

– ჯერ ერთი, სტატუსის დათმობა-არდათმობა მხოლოდ სააკაშვილთან არ არის დაკავშირებული. ის 12-პუნქტიანი გეგმა, რომელზეც ლაპარაკია სტატუსთან დაკავშირებით, არ არის მხოლოდ სააკაშვილი! ეს არის ბევრი სხვა რამ და, უპირველეს ყოვლისა, ეს არის სასამართლო რეფორმა, რომლის ჩატარებისა და რომლის განხორციელების შემთხვევაში, აღარც სააკაშვილის პრობლემა არ იდგებოდა. დღეს რომ არ იყოს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო არ არის ობიექტური, არ იქნებოდა ასეთი ვითარება არც სააკაშვილთან მიმართებით და არც ზოგადად პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასე რომ, სტატუსის მოცემა-არმოცემა მარტო სააკაშვილის საქმე არ არის.

– სასამართლოსთან მიმართებით მძიმეა საზოგადოების შეფასება. თითქმის ყველა ფიქრობს, რომ ერთ ადამიანზე, ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული მიხეილ სააკაშვილის ბედი.

– სამწუხაროდ, ასეა.

– რჩება პრეზიდენტი. როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს? თქვენ რომ იყოთ ახლა პრეზიდენტი, შეიწყალებდით?

– მე რომ ვიყო, აგერჩიეთ და ვიქნებოდი. არა ვარ მე პრეზიდენტი. მე რომ ვიყო, ძალიან ბევრ რამეს სხვას ვიზამდი! და იმიტომაც არა ვარ! არ ვიქნებოდი ვინმეზე დამოკიდებული, არ ვიქნებოდი არავის სათამაშო და არცერთი ხელისუფლების დანამატი. ამიტომაც არა ვარ! თუმცა, ხალხს რომ რადიკალური ნაბიჯები გადაედგა, შესაძლოა, სხვაგვარად განვითარებულიყო მოვლენები. ახლა გვყავს პრეზიდენტი, რომელიც გვახსოვს, როგორ ავირჩიეთ, გვარი და სახელი მისი ეწერა და სურათები ბიძინა ივანიშვილის, მდინარაძისა და კობახიძის. რას ითხოვთ ამ პრეზიდენტისგან?! ადამიანს სავარძელი აჩუქეს, ჩასვეს ამ სავარძელში და ახლა იქცევა ისე, რომ მთლად დანამატად არ ჩანდეს, მაგრამ არცერთ სერიოზულ გადაწყვეტილებას ის თავის განცხადებებს არ აყოლებს. ამიტომ არანაირი მოლოდინი მე პრეზიდენტისგან არ მაქვს!

– არც სასამართლოსგან?

– რა თქმა უნდა, არა.

– მაშინ, როგორ განვითარდება მოვლენები და როგორი იქნება სააკაშვილის ბედი?

– ძალიან მძიმეა ვითარება. ასეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც ამდენი ექიმი და ექსპერტი ამბობს, რომ შეიძლება შეუქცევადი პროცესები წავიდეს ჯანმრთელობის თვალსაზრისით, არ არის გამორიცხული, რომ მაშინ გაუშვან, როდესაც ამ გაშვებას ფაქტობრივად ფასი არ ექნება. ვნახოთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გააანალიზებს ხელისუფლება იმას, რომ პატიმრის გარდაცვალება, რომელიც საერთაშორისო ყურადღების ცენტრშია და მით უმეტეს, ყოფილი პრეზიდენტია, ციხეში თუ ციხის საავადმყოფოში, ეს იქნება გამოუსწორებელი ზიანი ხელისუფლებისთვის. ვნახოთ. თუ გააცნობიერებენ ამას, მაშინ შანსი არის, რომ გაუშვან, თუ ვერ გააცნობიერებენ და ყველაფერს ისე აგდებულად შეხედავენ, როგორც აქამდე უყურებდნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლოა, უმძიმესი შედეგიც დადგეს.

– ქალბატონო ნინო, გასული კვირის ბოლოს ჰააგის სასამართლომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. ხელისუფლება, ოპოზიცია, ყველა მხარე იბრალებს, რომ ეს მათი გამარჯვებაა. როგორია თქვენი შეფასება, იცვლება რამე ამ გადაწყვეტილებით?

– მე ვფიქრობ, რომ ქვეყნის გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ეჭვიც არ მეპარებოდა არასდროს იმაში, რომ ჩვენი სამხედროები არ ჩაიდენდნენ სამხედრო დანაშაულებს, მაგრამ, ის რომ დაფიქსირდა, ასეთი ფაქტი არ ყოფილა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვისაც უნდა, იმან მიიწეროს, მაგრამ, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ ქვეყნისთვის ეს არის ძალიან კარგი და სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი.

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილი, შესაძლოა, პოლონიუმით მოწამლეს“

კლინიკა „ვივამედში“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები იმყოფებოდნენ. ისინი აპირებდნენ, საქართველოს მესამე პრეზიდენტისთვის სისხლის, თმისა და ფრჩხილის ნიმუშებს აღებას ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზისთვის, რომ დადგინდეს ორგანიზმში მძიმე მეტალების შესაძლო არსებობა.

ტოქსიკოლოგიური კვლევით ასევე უნდა დადგინდეს, არის თუ არა მიხეილ სააკაშვილის ორგანიზმში პოლონიუმი, თუმცა მესამე პრეზიდენტის უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ამის დადგენა ახლა შეუძლებელია, რადგან ვადა გასულია, გარდა ამისა, მისივე თქმით, ეს კვლევა საქართველოს არცერთ ლაბორატორიაში არ კეთდება:

– ახლა მიიღეს გადაწყვეტილება, მოდით სისხლიც ავიღოთ, თმის და ფრჩხილებიცო. ახლა ვეუბნებით, რომ არსებული გაიდლაინების მიხედვით, თუ პირი მაისშია მოწამლული ახლა ვეღარაფერს ვეღარ აღმოაჩენენ, იმავდროულად ჩვენ მივწერეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ვინაიდან უცხოელებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ შესაძლებელია სააკაშვილი პოლონიუმით იყოს მოწამლული.

საერთაშორისო ტოქსიკოლოგიურ ორგანიზაციებს მივწერეთ, იმათგან მოგვივიდა პასუხი, რომ აი თქვენ რომ დაადგინეთ ეს კვლევები უნდა ჩაატარონო ახალ მივმართეთ საქართველოში არსებულ ლაბორატორიებს და ვეკითხებით, თქვენ შეგიძლიათ ამ კვლევების ჩატარება, ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, – ამბობს ხაჭაპურიძე.

მეუფე ნიკოლოზი სააკაშვილზე: „ძალიან გამხდარია. ადამიანის უფრო მეტად გახდომა თუ შეიძლება, ვერ წარმომიდგენია“

– გამხდარია ძალიან. უფრო მეტად გახდომა თუ შეიძლება ადამიანის, ვერ წარმომიდგენია, – ამის შესახებ მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „ვივამედის“ კლინიკაში მონახულების შემდეგ განაცხადა.

– ამ ბოლო დროს ჩვენი საუბარი ძირითადად ამქვეყნიურ ამბებს არ ეხება, ეხება სულიერ საკითხებს. ამასწინათაც გამოვაცხადე და ახლაც უნდა ვთქვა – ჩემი პირადი სურვილია, ამ ადამიანმა გააგრძელოს უცხოეთში მკურნალობა. ჩემი ლოცვაც ამაში მდგომარეობს. ეს 7-ჯერ ზეთისცხების საიდუმლო ჯანმრთელობისთვისაც არის და დავიწყებული ცოდვების მიტევებისთვისაც. მთლიანად წავუსვი ზეთი მთელ სხეულზე. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ზეთი კურნავს ადამიანს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამის იმედად არ უნდა ვიყოთ და მან უნდა იმკურნალოს. მთელი ამ საიდუმლოს დროს იწვა და თვალები ჰქონდა დახუჭული. გამხდარია ძალიან. უფრო მეტად გახდომა თუ შეიძლება ადამიანის ვერ წარმომიდგენია. რამდენიც შევდივარ, იმდენჯერ ვამბობ, რომ უარესად მხდება, მაგრამ ვერ ვიტყვი ვერაფერს ახლა იმიტომ, რომ იწვა. შეუძლებელია ამ ორი საათის განმავლობაში კონტაქტური იყოს ადამიანი, როცა მასზე ასეთ ძლიერ ლოცვებს კითხულობ. ჯანმრთელი ადამიანიც კი თვალს დახუჭავს და ისე მოისმენს.

რაც შეეხება იმ საკითხს, თვითდაზიანებაში რომ ადანაშაულებენ, ქრისტიანისთვის სასიკვდილო ცოდვად ითვლება თვითლიკვიდაციისკენ ნებისმიერი მიდრეკილება. ამაში ადანაშაულებენ მას. მე ვამბობ, რომ ეს დიდი ცოდვაა. ის არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, აღსარებას ამბობს და ეზიარება, ამიტომ ჩემთვის, როგორც მოძღვრისთვის, გამორიცხული თემაა. მიხეილ სააკაშვილი ყველანაირად იბრძვის სიცოცხლისთვის. მე შემიძლია მხოლოდ ვილოცო ამისთვის, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

ვოლოდიმირ ზელენსკი: „რაც ახლა მიხეილ სააკაშვილის თავს ხდება, საქართველოს არ შეეფერება. ეს უნდა შეწყდეს“

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, მიიღოს გადაწყვეტილება პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის შესახებ.

– მინდა ახლა მივმართო ყველა ჩვენს მეგობარს და კეთილსინდისიერ ადამიანს საქართველოში. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ალბათ, ახლა ყველა ხედავს. ამიტომ მივმართავ ქართველ ხალხს, საქართველოს ხელისუფლებას – აუცილებელია გულმოწყალება, განსაკუთრებით შობის წინ. რაც ახლა მიხეილის თავს ხდება, სისასტიკეა. ეს საქართველოს არ შეეფერება. ეს უნდა შეწყდეს. გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც გადაარჩენს მის სიცოცხლეს – გადაიყვანეთ მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ერთ-ერთ კლინიკაში, ევროპის სხვა ქვეყანაში, ამერიკაში. დროა, გადაიდგას ეს კარგი ნაბიჯი, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რა პირობა დაარღვია სააკაშვილმა და რას ვერ პატიობს მას „ქართული ოცნება“?!

ვახტანგ ძაბირაძე: „სააკაშვილი, არც საქართველოში შინაპატიმრობაში და არც უცხოეთში გადაყვანილი, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ პირველად გააკეთა სააკაშვილთან დაკავშირებით განცხადება. ის ამბობს, რომ საქართველოს არ შეეფერება ასეთი ქმედება და მოუწოდებს ხელისუფლებას, უკრაინის ერთ-ერთ საავადმყოფოში ან დასავლეთის ნებისმიერ კლინიკაში გადაიყვანონ, რასაც „ქართული ოცნება“ შიდა საქმეებში ჩარევას უწოდებს.

– „ქართული ოცნების“ ეს შეფასება საბჭოთა კავშირს მახსენებს, სადაც დასავლეთის ნებისმიერ კრიტიკაზე სწორედ ასეთი პასუხი იყო. ამიტომ ხელისუფლება უნდა მორჩეს ამაზე ლაპარაკს.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან პირადად ზელენსკი ჩაერეოდა და ასეთ მოწოდებას გააკეთებდა. თუმცა, აქვე უნდა გავიხსენოთ ევროპარლამენტარების ის რეზოლუცია, სადაც მიხეილ სააკაშვილზეა საუბარი. ახლა უკრაინას, ზელენსკის თითოეული ევროპარლამენტარის ხმა და მხარდაჭერა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ამიტომ ზელენსკი სააკაშვილთან დაკავშირებით, წარმოუდგენელია, განსხვავებული პოზიციით გამოსულიყო. მისი ეს გამოსვლა და მოწოდება სრულიად მოსალოდნელი იყო.

ახლა საინტერესოა, რამდენად ადეკვატურია ზელენსკის ამ განცხადებისადმი „ქართული ოცნება“. ადეკვატური ნამდვილად არ არის ის პასუხი, რომელზეც ხელისუფლება ამბობს, რომ ეს საშინაო საქმეებში ჩარევაა.

– სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა.

– დიახ და, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ მოქალაქეზე აკეთებს ზელენსკი განცხადებას. ამიტომ ვამბობ, რომ მეტი ადეკვატურობაა საჭირო.

არც ის რიტორიკა აყენებს კარგ დღეში „ქართულ ოცნებას“, რომელზეც მთელი ეს პერიოდი აპელირებს, თითქოს ნაციონალურ მოძრაობას მთელი დასავლეთი, ევროპარლამენტარები, ამერიკელი სენატორები და ლამის მთელი თეთრი სახლი მოსყიდული ჰყავს. თუ ოპოზიციიდან ამდენი შეძლო ნაციონალურმა მოძრაობამ, თავად ხელისუფლებიდან ამის ნახევარი მაინც რატომ ვერ შეძლეს?! 10 წელია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია და ამ ხნის განმავლობაში გულწრფელი მეგობრები თუ არა, გულწრფელი ლობისტები მაინც რატომ ვერ გაიჩინეს?! ეს ხომ არის ლოგიკური კითხვა. ამიტომ ამ რიტორიკასაც უნდა მოეშვან, რადგან მათ სასარგებლოდ არ მუშაობს.

– შეიძლება „ქართული ოცნება“ ფიქრობდა, რომ დასავლეთი, ამერიკელი სენატორები, ევროპარლამენტარები ასე უშუალოდ არ ჩაერთვებოდნენ სააკაშვილის საქმეში.

– ალბათ არა, აქ ცოტა უფრო სხვა რამე მგონია მე პირადად საქმე. 2012 წლის 1 ოქტომბერს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა უშუალოდ დასავლეთის, ამერიკელებისა და ევროპელების პირდაპირი შუამავლობით მოხდა. მაშინ, სააკაშვილი, ამბობენ, რომ ასე მარტივად არ აპირებდა ხელისუფლების დათმობას, მაგრამ ამერიკელებმა აიძულეს, რომ უნდა დაეთმო. მე ვფიქრობ, რომ სწორედ მაშინ მიიღო დასავლეთმა გარანტიები „ქართული ოცნებისგან“, რომ მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან წავიდოდა და მისი დევნა არ მოხდებოდა.

– სწორედ მაშინ გაჩნდა ქართულ სივრცეში ახალი ტერმინი, კოჰაბიტაცია.

– დიახ, რაც ძველი ხელისუფლებისა და ახლის თანაცხოვრებას გულისხმობდა, ანუ შურისძიებაზე უნდა ეთქვათ უარი და ხელისუფლების გადაცემა დასავლური, ცივილიზებული გზით უნდა მომხდარიყო. რომ არა ეს დასავლეთის შუამავლობა, დარწმუნებული ვარ, არ აგვცდებოდა მეორედ სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მართლა ვერ გაუძღებდა სახელმწიფო. ამიტომ ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემის ტრადიციის დამკვიდრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაშინ ამ ტრადიციის დამკვიდრებაზე იყო საუბარი, თუმცა, მერე მოხდა ის, რაც მოხდა. მიხეილ სააკაშვილი ჩამოვიდა და მიცემული პირობაც დაირღვა, როგორც ჩანს, ერთისა და მეორის მხრიდანაც.

არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები სააკაშვილს აფრთხილებდნენ, არ ჩამოსულიყო. ის მაინც ჩამოვიდა და ახლა „ქართული ოცნება“ სჯის, რადგან მან შეთანხმება დაარღვია. შეიძლება ამიტომაც არის ასეთი ხისტი დასავლელი პარტნიორების მიმართ „ქართული ოცნება“, როდესაც ისინი სააკაშვილის ჯანმრთელობაზე რეზოლუციებში საუბრობენ.

– ზელენსკის მოწოდებას რომ დავუბრუნდეთ, როგორი შეიძლება იყოს ხელისუფლების გადაწყვეტილება?

– რთული სათქმელია, თუმცა, ფაქტი ერთია, რაღაც დონის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს „ქართულმა ოცნებამ“. ასე ვერ გაგრძელდება. ასევე უნდა მიხვდნენ, რომ სააკაშვილი, არც საქართველოში შინაპატიმრობაში და არც უცხოეთში გადაყვანილი, არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ან სასამართლოს სახელით...

– ან ამ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი თვითონ მიიღებს?

– დიახ, არ გამოვრიცხავ, ასეც მოხდეს. დასავლეთის პოზიცია რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ბევრად უფრო მკვეთრი და მომთხოვნი იქნება. ისე ვეღარ გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო.

– რას გულისხმობთ?

– თუ აქამდე დასავლეთი „ქართულ ოცნებასთან“ ხიდებს ბოლომდე არ წვავდა და შანსს მაინც უტოვებდა, ასე ვეღარ იქნება. ის ბოლომდე დემოკრატიულობას მოითხოვს.

ვერც „ქართული ოცნება“ ვეღარ შეინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, მაგრამ მე აქ საერთოდ არ ვგულისხმობ ომის თემას, რომელზეც „ოცნება“ საუბრობს. თუ ვინმეს არ აწყობს ომი საქართველოში, ეს არის, პირველ რიგში, ქართველი ხალხი და დასავლეთი, რადგან დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირე სტაბილურობაა.

– ნეიტრალური პოზიცია რასთან დაკავშირებით?

– ან ხარ დასავლეთის პარტნიორი, ან ხარ რუსეთთან. დასავლეთის პოზიცია ამ საკითხზე ბევრად უფრო მკვეთრი გახდება და ეს უნდა იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“. ევროკავშირის მხრიდან ენერგოკაბელის ჩადება სერიოზული სიგნალია ბევრი მიმართულებით. განსაკუთრებით უნდა მივხვდეთ იმას, რომ დასავლეთს ამ რეგიონში ომი არაფერში არ აწყობს. პირიქით, მისთვის ჩვენი დერეფანი სასიცოცხლო ფუნქციას იძენს. ამიტომ ის მშვიდობას, დემოკრატიას დაიცავს საქართველოში.

„ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოებას სააკაშვილის სიკვდილი ნამდვილად არ უნდა“

გოგა ხაინდრავა: „საკუთარი თანამებრძოლები წირავენ სააკაშვილს, რომელიც მართლა ძალიან ავადაა. მას მკურნალობა, სიმშვიდე და წესიერი კვება სჭირდება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა პასუხობს.

– ბატონო გოგა, თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილი პრეზიდენტობის დროსაც ისე იქცეოდა, როგორც პატიმარი სააკაშვილი ახლახან გამოქვეყნებულ კადრებში, ამბობთ, რაღაცებს ისროდაო. რა იყო მაშინ პრეზიდენტ სააკაშვილის აღელვების მიზეზი?

– მისი ფსიქიკური მდგომარეობა, რაც ყველასათვის ცნობილია. მისი აღელვების მიზეზი რა იყო, ჰკითხეთ მის გარემოცვაში მყოფებს.

უბრალოდ, ის, რაც ახლა ხდება, კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რა კატეგორიის ადამიანებთან გვაქვს საქმე. მათთვის ამქვეყნად წმინდა არაფერი არსებობს – არც დედაშვილობა, არც მეგობრობა, არც თანაპარტიელობა, არც თანამებრძოლობა, თუ შეიძლება, იმას თანამებრძოლობა დაერქვას იმის შემდეგ, რასაც ისინი ჩადიოდნენ საკუთარი ანგარების, საკუთარი კეთილდღეობის სურვილით.

– ამ შემთხვევაში რას გულისხმობთ?

– წირავენ ადამიანს, რომელიც მართლა ძალიან ავადაა. სააკაშვილს მკურნალობა, სიმშვიდე და წესიერი კვება სჭირდება. კვება კი არა, ტელევიზიიდან მოუწოდებენ, მოკვდი, არავითარ შემთხვევაში არ გადარჩე, შენ უნდა მოკვდე, რომ ჩვენ კარგად ვიყოთო.

ისინი ფიქრობენ, სააკაშვილი რომ მოკვდეს, ყველანი კარგად იქნებიან. სააკაშვილის სიკვდილს თავიანთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური დივიდენდებისთვის გამოიყენებენ. ამიტომ ყველაზე მეტად მაგათ უნდათ, რომ მოკვდეს.

ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოებას ნამდვილად არ უნდა სააკაშვილის სიკვდილი. ნორმალურ ადამიანებში ასეთი სურვილი ვერ და არ გაჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ ფორმით სააკაშვილისაგან დაზარალებულია, დარწმუნებული ვარ, მათი უდიდესი



ნაწილი ჯანმრთელობას ნამდვილად უსურვებს.

სხვა საქმეა, რომ მან უნდა მოიხადოს სასჯელი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინა. მისი ავადმყოფობა და სიკვდილი არავის უნდა, გარდა მისი გარემოცვისა.

ისინი ყველაფერს აკეთებენ ასეთი სურათის შესაქმნელად. ხომ იცით, ხეს რომ უძახებ, გახმი, გახმიო, გახმება. ეგენი 9 თვეა დილიდან საღამომდე გაიძახიან, კვდება, კვდებაო. ხეს რომ ამდენი უძახო, გახმება.

ისეთი სასტიკი რეჟიმი, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს რომ იყო, 21-ე საუკუნეში მსოფლიოს არცერთ ციხეში არ ყოფილა. აზრადაც არ მოსვლიათ იმის გაკეთება, რასაც სააკაშვილი ჩადიოდა თავის მერაბიშვილ-ადეიშვილ-მეგის ქარდავებთან და ქილერა მილერებთან ერთად. ისინი ამ ყველაფერს იღებდნენ და მერე სააკაშვილის კაბინეტში თვითონ უყურებდნენ, სააკაშვილის რეზიდენციებში. კალმახელიძე სად არის, ის მოგიყვებათ.

– კალმახელიძის თანდასწრებით უყურებდნენ?

– დიახ. აბა, კალმახელიძის თანხმობით იღებდნენ და თვითონ არ ნახავდა?

– მაშინ ასეთ კაცს პრეზიდენტად როგორ ირჩევდნენ?

– ერთხელ აირჩიეს, რადგან იმ წუმპეში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა (2003 წელს), ყველა ჩართული იყო. მთელი ქვეყანა კორუფციის ბუდედ იყო ქცეული. მაშინ აირჩიეს.

– 2008 წელს?

– 2008 წელს სააკაშვილი არავის აურჩევია. საარჩევნო უბნებიდან ბიულეტენები სპეცნაზით რომ გამოჰქონდათ, თუ ვინმეს დაავიწყდა, გავახსენებ, კადრები არქივში მაქვს.

სააკაშვილი მსოფლიო სახელისუფლებო წრეებში მისმა ბოსებმა აირჩიეს. ისინი არა მარტო ირჩევდნენ, არამედ არჩენდნენ კიდეც. დღესაც მის დახსნას ცდილობენ. ის ბოლო ინსტრუმენტი იყო, რითაც საქართველოს გადაატრიალებდნენ. ახლაც ჩართეს თავიანთი ჭრიჭინები, რომ იჭრიჭინონ და იქნებ ციხიდან გამოაძვრინონ. თუმცა, მართალი გითხრათ, მსოფლიოს სერიოზულ ძალებს სააკაშვილი ნამდვილად არ ადარდებთ.

– მის თანამებრძოლებად და გარემოცვის წევრებად ვინც ითვლებიან, როგორი ფსიქიკის ადამიანები იყვნენ?

– თანამებრძოლებად კი არა, თანამძარცველებად ვინც ითვლებიან... მაინტერესებს, სად იბრძოლეს, ვინმემ მაჩვენოს. ერთი კოდორის ხეობაში იბრძოლეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ნათელი ქართველი ქალი, ნორა კვიციანი, სიცოცხლეს გამოასალმეს.

– კოდორი ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევისა და იქ ჯარით შესვლის იდეა სააკაშვილს ვინ მიაწოდა?

– ბიძამისმა, ფსბ-ს ოფიცერმა თემურ ალასანიამ. ახლა, ალბათ, გენერალიც იქნება, თუ არ ჩამოაქვეითეს, რადგან საქართველოში ძირითადი გეგმა ვერ განახორციელა. ვის სჭირდებოდა? როდის იყო კოდორი ზემო აფხაზეთი? იქნებ ვინმემ გამახსენოს. კოდორის ხეობა იყო კოდორის ხეობა, სვანეთის ნაწილი. რა კავშირი ჰქონდა აფხაზეთთან, გარდა იმისა, რომ ესაზღვრებოდა.

ვის სჭირდებოდა კოდორის ხეობა? კოდორის ხეობაში რუსის ჯარი დგას და რუსეთი აკონტროლებს. ე.ი. ვის ინტერესში შედიოდა? რუსების ინტერესში. ვინ გასცა ბრძანება? რუსეთმა გასცა. ვისი პირით? ალასანიას პირით მიაწოდა თავის დისშვილს. მანაც ზემო აფხაზეთი დაარქვა.

– თუ შესწრებიხართ, რომ ალასანია საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრებოდა?

– როგორ არა, უშიშროების საბჭოს წევრი ვიყავი.

– იცით, რა სტატუსით ესწრებოდა?

– ბიძამისის სტატუსით ესწრებოდა და ყველაფერს ახორციელებდა. ვინ კითხულობდა მაგის სტატუსს.

რუსეთის ფსბ-ს თანამშრომელი იყო, კგბ-ს ნომენკლატურა, როგორც თავისი დისშვილი სააკაშვილი, რომელიც კგბ-ს ჯარში მიაბარა, მაგრამ პორნოგრაფიული სკანდალის გამო კიევის დიპლომატიური აკადემიიდან გამოაგდეს. კიევის დიპლომატიური აკადემია კგბ-ს სამჭედლო იყო, როგორც მოსკოვის, სადაც ლაკა-ჰელენ ხოშტარიამ განათლება მიიღო.

– უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ითხოვს, სააკაშვილი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაიყვანონ.

– უკრაინის პრეზიდენტმა უკრაინაში განაცხადოს, საქართველოში ის ვერაფერს განაცხადებს. მაგან თავის ქვეყანასა და იმ უბედურებას მიხედოს, რაც უკრაინაში ტრიალებს. საერთოდ მაგაზე ლაპარაკი არ მინდა.

– მელიამ თქვა, ახლა გაირკვევა, ხელისუფლება რუსეთის მხარეს დაიჭერს თუ უკრაინის პრეზიდენტის აზრს გაითვალისწინებსო.

– მელიამ რა თქვა, არ მაინტერესებს. მელია საერთოდ ვინ არის? მელიამ რა თქვა, ხაბეიშვილმა უპასუხოს. მე საერთოდ არ მაინტერესებს, მელია ვინ არის.

„თუ სააკაშვილი გაათავისუფლეს, ეს „ქართული ოცნების“ ნების გამოხატულება იქნება“

მირიან მირიანაშვილი: „ამჟამად პატიმრობაში მყოფი ათი პრეზიდენტიდან სააკაშვილი დასავლეთიდან გამოსარჩლების მხრივ ყველაზე ბოლო ადგილზეა“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.

– თუ საქართველოს მესამე პრეზიდენტი სასამართლოს გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს ან მას სასჯელი გადაუვადეს, რეალურად ეს ვისი გადაწყვეტილება იქნება? ხელისუფლებასთან დაახლოებული წრეები და პირები ბოლო დროს ინტენსიურად ნერგავენ აზრს, რომ სააკაშვილის გამო ხელისუფლებაზე ზეწოლა მიმდინარეობს.

– თუ სააკაშვილი გაათავისუფლეს ან მას სასჯელი გადაუვადეს, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ნების გამოხატულება. სააკაშვილს ქომაგობს რამდენიმე ლიტველი, რამდენიმე ლატვიელი და ერთი-ორი პოლონელი ევროდეპუტატი. ეს არის მათი აქტივობა და არა დასავლეთის გადაწყვეტილებების მიღების ცენტრების პოზიცია. კუბილიუსი და ფოტიგა დასავლეთის პოზიციას ძალიან დაშორებული არიან. ამიტომ, თუ სააკაშვილი გაათავისუფლეს ან სასჯელი გადაუვადეს, ეს არ იქნება დასავლეთიდან ზეწოლის შედეგი. არანაირი ამგვარი ზეწოლა არ მიმდინარეობს.

– სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ახსენეს სააკაშვილის ჯანმრთელობა. ხელისუფლებასთან დაახლოებული და პრორუსული ჯგუფები აქედან მოყოლებული ლაპარაკობენ, რომ ამერიკა თავისიანს იცავს.

– ეს უსაფუძვლო და სულელური განცხადებებია. საქართველოს საზოგადოების უკიდურესად მიამიტ და არაინფორმირებულ ნაწილს იმასაც კი აჯერებენ, რომ ამერიკის ელიტის მთავარი მიზანია კაცის კაცზე გათხოვება. ასეთები იმასაც ირწმუნებენ, თითქოს აშშ სააკაშვილს ქომაგობს და მფარველობს. აშშ-ის პოლიტიკურ პოზიციას გამოხატავენ პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივანი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ განცხადებებს აკეთებენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სენატორები, კონგრესმენები. სააკაშვილზე არცერთი კოლექტიური განცხადება არ ყოფილა. დიახ, სახელმწიფო დეპარტამენტმა ყურადღება გაამახვილა მის ჯანმრთელობაზე. აბა, რა უნდა ეთქვა, ავად უნდა გახდეს და მოკვდესო? აშშ-ის პოზიციაზე დეზინფორმაცია ვრცელდება. გამოსარკვევი ისაა, ვისი დახმარებითა და ხელშეწყობით მუშაობს ეს მექანიზმი, ვისი ორგანიზებით იყრება ჭორები ქართულ სოციუმში.

„საქართველოს პოლიტიკური ელიტა, მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც, რუსეთის მიმართ შიშის ტყვეობიდან ვერ გამოსულა“

– სააკაშვილი ისევ იგნორირებულია?

– დასავლეთის მხრიდან სააკაშვილის მიმართ შეინიშნება უპრეცედენტო იგნორირება. ამჟამად პატიმრობაში იმყოფება სხვადასხვა ქვეყნის 10-მდე პრეზიდენტი, ყირგიზეთით დაწყებული, კორეით დამთავრებული. დასავლეთიდან გამოსარჩლების მხრივ სააკაშვილი ბოლო ადგილზეა. მის მიმართ ყურადღების დონე ყველაზე დაბალია. ასე რომ, თუ ის გათავისუფლდა, გამოდის, რომ ეს სდომებია საქართველოს პოლიტიკურ ელიტას.

– ადრე აღნიშნეთ, რომ იწყება დერუსიფიკაცია პოსტსაბჭოთა სივრცესა და სერბეთში. საქართველოში ამას ვერ ვამჩნევთ. პირიქით, ძალიან გააქტიურდნენ პრორუსული და ანტიდასავლური ჯგუფები. რას უნდა ველოდოთ?

– ქართველ პოლიტიკოსებში რუსეთის მიმართ შიში იგრძნობა. საქართველოს პოლიტიკური ელიტა (მმართველი პარტიაც და ოპოზიციაც) ვერ გამოსულან რუსეთის მიმართ შიშის ტყვეობიდან. სანამ ეს შიში არ დაიძლევა, ვერ დაიწყება ფუნდამენტური ცვლილებები. დერუსიფიკაცია უეჭველად განხორციელდება. რუსეთის დასუსტებას მოჰყვება სპექტრის გაწმენდა რუსეთის აგენტურისაგან. ასეთი აგენტურა ბლომადაა იმ პარტიებშიც, რომლებიც პროდასავლელობას იბრალებენ.

– ქართველი პოლიტიკოსები ვერ გრძნობენ რუსეთის დასუსტებას?

– მე ასე ვიტყოდი: რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა ძალიან მძიმეა. კიდევ რამდენიმე მარცხი და რუსეთი მთლად დაუძლურდება. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ამ ყველაფერს ვერ გრძნობენ. რუსეთის ძლევამოსილებისადმი საქართველოში, ორი საუკუნეა, ბევრს მეტისმეტად გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. აქედან წარმოიშვა მოწიწება რუსეთის მიმართ. ახლაც ეს იგრძნობა. დერუსიფიკაცია გარდაუვალია. რუსეთი საქართველოდან ნებისმიერ შემთხვევაში გავა. ეს უნდა გააცნობიეროს საქართველოში რუსეთის აგენტურამაც. ამ აგენტურამ უნდა გაიგოს, რომ რაც უფრო გადაიწევს ეს პროცესი, მით უფრო მძაფრი და დროში შეკუმშული იქნება.

– „გორბის“ მიერ ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვით, ანტიდასავლური აქტივობებით გამორჩეული მოძრაობა „ხალხის ძალის“ ქმედებებსა და შეხედულებებს ეთანხმება გამოკითხულთა 46%. რეალურად მიგაჩნიათ ეს ციფრი?

– არ მიმაჩნია რეალურად. „გორბის“ მიმართ არანაირი ნდობა არ მაქვს. ეს კომპანია ყოველთვის ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთებს და ყოველთვის პრორუსული იყო. „ხალხის ძალასაც“ გაუზრდიდა რეიტინგს, აბა, რას იზამდა!

– რამდენად არის დარტყმა რუსეთისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო (ჰააგის) სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის ომის შესახებ, სადაც აღიარებულია რუსეთისა და მისი მარიონეტი ცხინვალის ადმინისტრაციის დანაშაულები?

– ეს ძალიან დიდი დარტყმაა რუსეთისთვის და გამარჯვება საქართველოსთვის. ეს სიგნალია რუსეთისთვის, რომელიც იმეორებდა, რომ 2008 წელს მსხვერპლი იყო და ამიტომ შემოვიდა საქართველოში. ამიერიდან საზღვარზე რომ საქართველო-რუსეთს შორის რამე მოხდეს, ეს ცალსახად დაჰბრალდება რუსეთს. ამ განაჩენმა უნდა გამოაფხიზლოს რუსული აგენტურაც.

– გამოდის, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ტრანსფორმაცია ფერხდება?

– რაზეც მისაუბრია, ის აუცილებლად მოხდება. გეთანხმებით, რომ პროცესი ფერხდება. ვის ხელშიცაა საამისო ბერკეტი, იმას ტრანსფორმაცია არ აწყობს. დერუსიფიკაცია, როგორც გითხარით, გარდაუვალია. ჯერ კიდევ უფრო მეტად უნდა დასუსტდეს რუსეთი. შემდეგი ეტაპია აგენტურის გასვლა. რუსეთის აგენტურისათვის რუსეთის დასუსტება ცის ჩამოქცევასავითაა. მაინც მოუწევთ მძიმე რეალობასთან შეგუება.

– ამბობდით, რომ მოსკოვიდან ყოფილი მაღალჩინოსანი სურკოვია საქართველოს აქტიური პოლიტიკური სპექტრის კურატორი. რაც სურკოვი შინაპატიმრობაშია, ვინმემ შეცვალა?

– არა. ამჟამად ქართველი პოლიტიკოსები კურატორის გარეშე დარჩნენ. ისინი ავტონომიურად მოქმედებენ – ზოგი ფსევდომედასავლეთის როლის შესრულებას აგრძელებს, ზოგი რუსეთს ემლიქვნელება.

რუსთავში ერთთვიანი ძებნის შემდეგ 60 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

რუსთაველი 60 წლის ვასიკო ბაკურაძე, რომელსაც თითქმის ერთი თვის განმავლობაში ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს. „ინფო რუსთავს“ ინფორმაცია გარდაცვლილის ოჯახის წევრმა დაუდასტურა.

მისი თქმით, ვასიკო ბაკურაძის ცხედარი სამართალდამცველებმა თითქმის ერთთვიანი ძიების შემდეგ მარის არხში იპოვეს.

ცხედარი უკვე გადაასვენეს ექსპერტიზის ბიუროში.

ნინი გოგაშვილი: „ის პირები, რომლებიც მამას დაკავების სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ, ყველა დანაშაულისთვის პასუხს აგებენ“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის შვილის, ნინი გოგაშვილის განცხადებით, ის პირები, რომლებიც მამამისის დაკავების სპეცოპერაციაში მონაწილეობდნენ, თავის დროზე პასუხს აგებენ.

– ესენი არიან იმ დანაშაულებრივი სპეცოპერაციის მონაწილეები, რომლებსაც ჩვენ სახლში იარაღების, სხვადასხვა მატერიალური დოკუმენტაციის, ასევე, მოწყობილობების ჩადება დაავალეს. ესენი არიან ამ დანაშაულებრივი სპეცოპერაციის მონაწილეები და როცა დადგება მათი პასუხისმგებლობის დრო, სამწუხაროდ, ისინიც იქნებიან ამ ყველაფრის წინაშე, სასამართლოზე წარდგებიან, სამწუხაროდ, ისინი ვერ იაზრებენ, რა დანაშაულს ჩადიან, მაგრამ მოვა დრო, როცა ისინი ყველა ამ დანაშაულის გამო პასუხს აგებენ, – განაცხადა ნინი გოგაშვილმა.

ცნობისთვის, სოსო გოგაშვილს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურება) ,157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილითა (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა).

წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

გიორგი მარგველაშვილი: „სააკაშვილის წამება რუსეთის ერთადერთი წარმატებაა“

– სააკაშვილის წამება რუსეთის ერთადერთი წარმატებაა, რომელიც მათ ბოლო პერიოდში აქვთ, – ასე აფასებს საქართველოს მე-5 პრეზიდენტი მესამე პრეზიდენტის გარშემო განვითარებულ მოვლენებს.

გიორგი მარგველაშვილი საზოგადოებას მიმართვას კითხვით: „რატომ ვკლავთ იმათ, ვისაც ვირჩევთ?“

– რუსულ აგრესიულ და დამპყრობელ სახელმწიფოს ერთადერთი გამარჯვება მსოფლიოს მასშტაბით, იმ ფონზე, რომ ისინი უკრაინაში სრულიად მარცხდებიან, აქვს საქართველო და სააკაშვილის წამება ქართული სახელმწიფოს მიერ. ეს არ არის მხოლოდ რუსეთის სურვილი, არამედ, სამწუხაროდ, ეს არის რუსეთის ერთადერთი წარმატება, რომელიც მათ აქვთ ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომ ჩვენ ჩვენს პრეზიდენტს წამებით ვკლავთ.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ის ბიოგრაფია გვაქვს, როდესაც ზვიად გამსახურდია ძალადობრივად იქნა მოკვდინებული საქართველოში. თუნდაც შევარდნაძის მიმართ, რომელიც იყო ბოლო წლებში მუდმივი განკიცხვის ობიექტი. ახლა პირდაპირ ეთერში რომ აწამებენ ქვეყნის ორჯერ პრეზიდენტს და ორჯერ მთავარსარდალს, მე არ ვიცი, რანაირად გავიმართლებთ ამაზე თავს, ვინმეს წინაშე კი არა, საკუთარი თავის წინაშე. რატომ ვაკეთებთ ასე? მერე რას შევაჯამებთ? მარტივად, ასე, არა პოლიტიკურად, არა ექსპერტულად, არამედ ჩვენთანვე სახლში, ჩვენი ოჯახის წევრებთან, ოჯახის ირგვლივ, სადილთან, რას ვეტყვით ჩვენ ერთმანეთს? რატომ ვკლავთ იმათ, ვისაც ვირჩევთ? – თქვა გიორგი მარგველაშვილმა.

უკრაინელებმა ოკუპანტებისაგან მარინკის ცენტრი გაწმინდეს

რუსეთ-უკრაინის ფრონტის ხაზი უკანასკნელი დღეღამის განმავლობაში არ შეცვლილა. უკრაინელები ინარჩუნებენ პოზიციებს. დღეისათვის ყველაზე ცხელ წერტილში, ბახმუტში, ქალაქგარეთ არსებული პოზიციებიდან რუსი ოკუპანტები განდევნეს. სამაგიეროდ, რუსებმა სრული კონტროლი დაამყარეს იაკოვლევკაზე. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსებმა ხსენებული სოფელი ქვემეხებით მიწასთან გაასწორეს.

სისხლისმღვრელი ბრძოლებია მარინკასთანაც. უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევების შედეგად უკრაინელებმა ოკუპანტებისაგან გაწმინდეს მარინკის ცენტრი. პასუხად ოკუპანტებმა მარინკას ქვემეხები დაუშინეს.

ბრძოლები არც ავდეევკის მიმართულებით წყდებოდა. რუსმა ოკუპანტებმა ავდეევკაზე პირდაპირ შეტევებს თავი ანებეს. ახლა ისინი ავდეევკის ალყაში მოქცევას ცდილობენ.

ბრძოლებია უკრაინის სამხრეთშიც. უკრაინელი პარტიზანები აქტიურად მოქმედებენ ბერდიანსკში, მარიუპოლში, მელიტოპოლში. რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, გაუსწორდნენ პარტიზანებს, ამაოა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პოლიციამ ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ნარკოდანაშაულის ფაქტებზე 62 პირი დააკავა. მათ შორის 46 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 62 პირი დააკავა, მათ შორის 46 ნარკორეალიზატორია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ნარკორეალიზატორები დაკავებული არიან სხვადასხვა ქალაქში: ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში, გორში, მარნეულსა და რუსთავში, ასევე, თბილისის სხვადასხვა უბანში, მათ შორის ფონიჭალის დასახლებაში.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღების და გასაღების მცდელობის, ასევე, ამ დანაშაულის მომზადების ბრალდებით დაკავებული არიან: იორდანიის მოქალაქეები -1974 წელს დაბადებული ს. ა. და 1983 წელს დაბადებული მ.ი.; ლატვიის მოქალაქე – 1998 წელს დაბადებული გ.გ.; ასევე, საქართველოს მოქალაქეები: 1980 წელს დაბადებული გ.კ., 1977 წელს დაბადებული ს.კ., 1972 წელს დაბადებული ს.მ., 1989 წელს დაბადებული ზ.ბ., 1979 წელს დაბადებული ვ.კ., წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი პირები – 1971 წელს დაბადებული ზ.ი. და 1984 წელს დაბადებული ტ.ი., 1981 წელს დაბადებული მ.უ., სხვადასხვა დანაშაულისთვის წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული ი.ქ., 1979 წელს დაბადებული გ.ქ., 1982 წელს დაბადებული ნ.ც. და ამავე წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ჯ., 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ჯ., 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ., 1969 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ., 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ც., 1994 წელს დაბადებული ს.ბ., 1971 წელს დაბადებული ა.ხ., 1995 წელს დაბადებული ლ.ო., 1976 წელს დაბადებული ლ.გ., 1994 წელს დაბადებული ი.ფ., 1998 წელს დაბადებული ლ.ლ., 1998 წელს დაბადებული მ.ბ., 1979 წელს დაბადებული ს.ბ, 1976 წელს დაბადებული ქ.ბ., 2001 წელს დაბადებული კ.ლ., 1988 წელს დაბადებული მ.ბ., 1997 წელს დაბადებული მ.ზ., 2004 წელს დაბადებული ნ.ს., 2003 წელს დაბადებული ს.მ., 2002 წელს დაბადებული ლ.ხ, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.თ., 2003 წელს დაბადებული ნ.გ., 2004 წელს დაბადებული თ.ჭ., 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ., 2002 წელს დაბადებული ა.ლ., 1976 წელს

დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ს., 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვ.დ., 1990 წელს დაბადებული ა.ბ., 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.ჯ., 1974 წელს დაბადებული ხ.კ., 1970 წელს დაბადებული კ.ბ. და 1983 წელს დაბადებული ლ.კ.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, მათი პირადი, ავტომანქანების, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ალფა პვპ“, „ბუპრენორფინი“, „ექსტაზი“, „მეტადონი“, „კეტამინი“, „ლირიკა“, „ოპიუმი“ და „მარიხუანა“.

ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტანის ფაქტებს, პოლიციამ უცხო ქვეყნის 20-მდე მოქალაქე დააკავა.

ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული არიან თურქეთის, სერბეთის, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, უკრაინის, ეგვიპტის, ლატვიის, ნიგერიისა და სომხეთის მოქალაქეები.

განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, ასევე, საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანისთვის დაკავებული არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1987 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ბ.თ., 1991 წელს დაბადებული რუსეთის მოქალაქე ნ.ნ, 1989 წელს დაბადებული ლატვიის მოქალაქე რ.კ., 1980 წელს დაბადებული ირანის მოქალაქე რ.ს., ასევე, სერბეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: 1990 წელს დაბადებული დ.ი. და 2001 წელს დაბადებული მ.მ., 1984 წელს დაბადებული სომხეთის მოქალაქე ჰ.პ., 1987 წელს დაბადებული ნიგერიის მოქალაქე დ.ე., აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეები: 1993 წელს დაბადებული ს.ა., 1985 წელს დაბადებული ლ.ნ., 1976 წელს დაბადებული მ.კ., 1976 წელს დაბადებული ტ.რ., 1980 წელს დაბადებული დ.დ., 1983 წელს დაბადებული ა.მ., 1962 წელს დაბადებული ზ.ჯ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.გ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ნარკოდანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა და ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება. 2022 წელს, ქვეყნის მასშტაბით, სულ 204 ნარკორეალიზატორია დაკავებული.

მიმდინარე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზაციის ბრალდებით, გასულ წელთან შედარებით, 68-ით მეტი ნარკორეალიზატორი დააკავა.

პოლიციამ ჯამში, მთელი წლის განმავლობაში, უკანონო ბრუნვიდან ამოიღო: 8 კილოგრამი „ჰეროინი“, 8.500 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 16 კილოგრამი „კოკაინი“, 6 კილოგრამი „მდმა“, 5 კილოგრამი „ალფა პვპ“, 4,5 კილოგრამი „კლეფედრონი“ და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება.

პოლიცია განაგრძობს კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებას, ნარკორეალიზატორების გამოვლენისა და დაკავების მიზნით, ასევე განაგრძობს აქტიურ ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს ქვეყანაში ნარკოტიკების უკანონო შემოტანის და გავრცელების წინააღმდეგ, – განაცხადა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ ბრიფინგზე.

ქრთამის მიცემისა და აღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელი და ბიზნესში დასაქმებული პირი დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უწყების თანამშრომლების მიერ მიღებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი რეგიონული ქვედანაყოფის სპეციალისტი კორუფციულ გარიგებაში იმყოფებოდა ხე-ტყის ბიზნესში დასაქმებულ მეწარმეებთან, რომელთაგანაც, სამსახურებრივი მფარველობისა და დარღვევებზე რეაგირების განუხორციელებლობის სანაცვლოდ, გარკვეული პერიოდულობით, იღებდა შესაბამის თანხებს.

– მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დადასტურდა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სპეციალისტი „რ.ხ.“ მფარველობას უწევდა ხე-ტყის ბიზნესში დასაქმებულ „მ.ნ.“-ს, რომელმაც „რ.ხ.“-ს გაწეული მფარველობის სანაცვლოდ, ორჯერ, პირად ანგარიშზე ჩაურიცხა შესაბამისი თანხა. ხოლო, ერთ შემთხვევაში – ბრალდებულმა, პირადი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით არ შეადგინა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რის სანაცვლოდაც, ერთ-ერთი მეწარმისგან მიიღო სამშენებლო მასალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული „რ.ხ“. ინფორმაციას აწვდიდა მეწარმეებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების გადაადგილებისა და კონტროლის ღონისძიებების შესახებ, უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის მასალის ტრანსპორტირების ფაქტების დაფარვის მიზნით.

შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისთანავე, მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, ორივე ბრალდებული დაკავებულ იქნა მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 338-ე და 339-ე მუხლების პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი კირთაძეზე თავდამსხმელს 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გიორგი კირთაძეზე თავდამსხმელს 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

ნაციონალური მოძრაობის წევრის, გიორგი კირთაძის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დევნისა და ძალადობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს, – ამის შესახებ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა ანზორ გურულმა უწყების ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, დაკავებულს სასჯელის სახის 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

– ჩვენ მიერ უმოკლეს დროში გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, საქართველოს ს.ს.კ. 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს ადამიანის დევნას მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა 1988 წელს დაბადებული მოქალაქე ი.ს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 19 დეკემბერს ქალაქ ბათუმში, ვახტანგ გორგასლის ქ. 127-ის მიმდებარედ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიორგი კირთაძეს ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ბრალდებული მიუახლოვდა, რომელმაც გიორგი კირთაძის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა, რის შემდეგაც ი.ს.-მ გიორგი კირთაძის მიმართულებით დაიწყო კვერცხების სროლა, მიმართავდა აგრესიულად და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. აღნიშნულის შემდეგ, ბრალდებულმა გიორგი კირთაძეს სახის არეში გაარტყა ხელი. დაკავებულს ბრალდება კანონით დადგენილ ვადებში წარედგინება. დანაშაული სასჯელის სახის საზომად 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – განაცხადა ანზორ გურულმა.

შეგახსენებთ, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრსა და ბათუმში ამავე პარტიის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კირთაძეს თავს დაესხნენ. ჟურნალისტებთან საუბრისას მას უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა და კვერცხები დაუშინა.

თბილისში გაზის გაჟონვის შედეგად 18 წლის ბიჭი დაიღუპა

თბილისში გაზის გაჟონვის შედეგად 18 წლის ბიჭი დაიღუპა.

დაღუპული სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანის მკვიდრი, 18 წლის მათე ბეჟიაშვილია.

ახალგაზრდა, სავარაუდოდ, კუსტარული წესით დამონტაჟებული წყლის გამაცხელებლიდან მომწამვლელი ნივთიერების გაჟონვას ემსხვერპლა.

ბეჟიაშვილი სტუდენტი იყო და ბინაში ძმასთან ერთად ცხოვრობდა.

2022 წელს ქვეყნის მასშტაბით 204 ნარკორეალიზატორია დაკავებული

– პოლიციამ მიმდინარე წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სულ 204 ნარკორეალიზატორი დააკავა, – ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ცენტრალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა თეიმურაზ კუპატაძემ მიაწოდა.

როგორც კუპატაძემ აღნიშნა, შსს-მ, გასულ წელთან შედარებით, 68-ით მეტი ნარკორეალიზატორი დააკავა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ნარკოდანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა და ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება. 2022 წელს, ქვეყნის მასშტაბით, სულ 204 ნარკორეალიზატორია დაკავებული. მიმდინარე წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზაციის ბრალდებით, გასულ წელთან შედარებით, 68-ით მეტი ნარკორეალიზატორი დააკავა, – განაცხადა თეიმურაზ კუპატაძემ.

როგორც მან აღნიშნა, 2022 წლის განმავლობაში უკანონო ბრუნვიდან სხვადასხვა სახის დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებებია ამოღებული: 8 კილოგრამი „ჰეროინი“, 8.500 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“, 16 კილოგრამი „კოკაინი“, 6 კილოგრამი „მდმა“, 5 კილოგრამი „ალფა პვპ“, 4,5 კილოგრამი „კლეფედრონი“ და სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება.

ქალეიდოსკოპი

ქალისთვის ტელეფონის მოპარვის გამო მგზავრებმა თანამგზავრი მატარებლიდან გადააგდეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში მგზავრებმა იეჭვეს, რომ მამაკაცმა ქალს მობილური ტელეფონი მოჰპარა. თანამგზავრს ჯერ სცემეს, შემდეგ კი მიმავალი მატარებლიდან გადააგდეს.

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, როდესაც ქალმა, რომელიც მატარებლით მგზავრობდა, დაიჩივლა, რომ მას მობილური ტელეფონი მოჰპარეს. ქურდობაზე ეჭვი ერთ-ერთ თანამგზავრზე მიიტანეს. მგზავრებმა ის გაჩხრიკეს და მოპარული ტელეფონი უპოვეს. ამის შემდეგ ქურდს ნახევარი საათის განმავლობაში სცემდნენ, შემდეგ კი ვაგონიდან გადააგდეს.

მოგვიანებით ნაცემი და მატარებლიდან გადაგდებული მამაკაცის ცხედარი ლინდაგებზე იპოვეს. გადაგდების დროს მან თავი მიარტყა ბოძს და დაიღუპა. გარდა ამისა, მას ფეხი ჰქონდა მოჭრილი.

ვიდეოს წყალობით, რომელიც ქურდის ცემის დროს იყო გადაღებული, პოლიციამ დაადგინა და დააპატიმრა პიროვნება, რომელმაც მამაკაცი მატარებლიდან გადააგდო. ის ეჭვმიტანილია მკვლელობაში. მიმდინარეობს დაღუპულის ვინაობის დადგენა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რამ გააბრაზა პუტინი

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. უკანასკნელმა მოვლენებმა კრემლის რისხვა გამოიწვია. უკრაინელმა მეომრებმა ელვისებური შეტევით ბახმუტის მახლობლად მდებარე პოზიციებიდან განდევნეს ოკუპანტები. ეს დამპყრობთა ერთადერთი დანაკარგი არ ყოფილა. უკრაინელებმა აიძულეს ოკუპანტები, მარინკიდანაც უკან დაეხიათ. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ცნობა მარინკის აღების შესახებ მორიგი სიცრუე აღმოჩნდა. გრძელდება ბრძოლები ავდეევკასთანაც.

– რუსები მიხვდნენ, რომ პირდაპირი შეტევებით ავდეევკასთან ვერას გახდებოდნენ, ამიტომ ცდილობენ, ხსენებული დასახლებული პუნქტი რკალში მოიქციონ. მცდელობა ჯერჯერობით წარუმატებელია, – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

ყველაფერმა ამან პუტინის რისხვა გამოიწვია. რტრ-ის ეთერით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ უკრაინელებს არავითარი სახელმწიფო აზროვნება არ გააჩნიათ და ვერავითარ სახელმწიფოს ვერასოდეს ვერ შექმნიან.

– გინდათ გითხრათ, რა განსხვავებაა რუსებსა და უკრაინელებს შორის? ყველა რუსი კეთილ მეფეს დაეძებს, ყველა უკრაინელი კი თვითონ არის თავისი თავის მეფე, – ბრძანა პუტინმა.

ასეა თუ ისე, რუსი ოკუპანტები კოლოსალურ დანაკარგებს განიცდიან. უკვე 99.000 რუსი ოკუპანტია განადგურებული. გააფთრებულმა პუტინმა უკრაინის ტოტალური დაბომბვა ბრძანა. რუსეთმა უკრაინის მიმართულებით 35 ირანული დრონი გაუშვა. აქედან 30 უკრაინელებმა ჩამოაგდეს. მიზანს მხოლოდ 5-მა მათგანმა მიაღწია. შედეგად ენერგეტიკული სექტორი კიდევ უფრო დაზიანდა. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

– უკრაინელებს ვეუბნები: გაანძრიეთ ტვინი. ის, რომ თქვენი შვილები იღუპებიან და იყინებიან, იმისი ბრალია, რომ აშკარა რეალობის დანახვა არ გსურთ! არც დონბასი და არც ხერსონი თქვენი აღარ არის! თუ წინააღმდეგობას არ შეწყვეტთ, გაგანადგურებენ! უკრაინელების არსებობაც მომავალ თაობებს მხოლოდ წიგნებიდან ეცოდინებათ! – გაჰკიოდა პუტინი.

გააფთრებულმა დიქტატორმა უკრაინაში დამატებითი ძალები გადაისროლა. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ბახმუტს, სადაც რუსმა ოკუპანტებმა მარცხი განიცადეს. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ მობილიზებულთა იმედით მოსკოვი ფრონს ვერ გავა.

– საეჭვოა, რომ რუსეთის არმიამ უახლოესი თვეების განმავლობაში წარმატებებს მიაღწიოს, – აცხადებს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

როგორც ჩანს, ეს პუტინისაც ესმის. ამიტომ მინსკისაკენ გაეშურა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი კვლავაც შეეცდება, დაიყოლიოს თავისი ბელარუსი კოლეგა, რათა უკრაინასთან ომში აშკარად ჩაერთოს. რუსეთი აგრესიას განაგრძობს. ოკუპანტების დანაკარგები სულ უფრო იზრდება.

კისინჯერმა პოზიცია შეცვალა

ცნობილი ამერიკელი მოღვაწე ჰენრი კისინჯერი ცნობილია თავისი შემგუებლური პოზიციით რუსეთის მიმართ. კერძოდ, ის ამტკიცებდა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის დომინირება უნდა შენარჩუნდეს.

რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული აგრესიის შემდეგ კისინჯერმა პოზიცია შეცვალა:

– უკრაინის ნეიტრალიტეტი უკვე გუშინდელი დღეა! აუცილებელია უკრაინის ნატოში ინტეგრაცია, – წერს კისინჯერი.

ამავე დროს, ამერიკელი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ დროა უკრაინაში მშვიდობა აღდგეს და ამ მიზნით დაიწყოს მოლაპარაკებები.

– რუსეთის კუთხეში მომწყდევა მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანს! აუცილებელია, რომ მოსკოვმა გარკვეულწილად სახე შეინარჩუნოს, – წერს კისინჯერი.

მეტი დაკონკრეტება ამერიკელმა პოლიტიკოსმა ამ ეტაპზე არ ისურვა.

აშშ-ის დაზვერვის შეფის სკანდალური განცხადება

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ბერნსმა განაცხადა, რომ კრემლში ინფორმირებულნი იყვნენ უკრაინაში აგრესიის შედეგებზე, კერძოდ იმაზე, რომ უკრაინელები ოკუპანტებს წინააღმდეგობას გაუწევდნენ:

– ამის თაობაზე პუტინს პირადად ვუთხარი, – თქვა ბერნსმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ბერნსს არ დაუჯერა. როგორც ჩანს, პუტინი დარწმუნებული იყო, რომ მისი არმია ნებისმიერ წინააღმდეგობას დაძლევდა.

– რუსეთის პრეზიდენტი ომზე შეგნებულად მიდიოდა! მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ უკრაინული არმიისა და საერთოდ უკრაინული სახელმწიფოს განადგურებას შეძლებდა, – აცხადებს ბერნსი.

არსებობს თუ არა
რუსეთ-უკრაინას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების პერსპექტივები?

გაეროს გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის აზრით, უახლოესი თვეების განმავლობაში რუსეთ-უკრაინას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების პერსპექტივა არ არსებობს. მიზეზი რუსეთის იმპერიალისტური, აგრესიული პოზიციაა. მოსკოვი ნებისმიერ ფასად უკრაინის დამორჩილებას ცდილობს, უკრაინელები კი თავს იცავენ.

პუტინი მინსკში ჩავიდა

რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი მინსკში ჩავიდა. აქ ის თავის ბელარუს კოლეგა ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვდა. საუბარმა ორ საათზე მეტხანს გასტანა.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვის აზრით, მხარეებმა განიხილეს რუსეთ– ბელარუსის შემდგომი დაახლოების გზები. გათვალისწინებულია მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა.

უკრაინელი გენერლის ნაევის ცნობით, რუსეთი კიევზე ხელმეორე ღაშქრობისათვის ემზადება. პუტინს ძალები აშკარად არ ჰყოფნის, ამიტომ მიისწრაფვის, რომ ომში ბელარუსიც ჩართოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

მსოფლიოს ჩემპიონი ელენე ქებაძე და სპორტის სამინისტრო ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ქართველმა სამბისტმა ელენე ქებაძემ ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში მსოფლიოს ჩემპიონობა მეორე მოიპოვა. თითქოს ამით ყველაფერია ნათქვამი – ქვეყანას პლანეტის უძლიერესი სპორტსმენი ჰყავს და ამით უნდა ამაყობდეს, მაგრამ...

თავად სპორტსმენი გაოგნებულია კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საქციელით და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ მათგან ასეთ მოქცევას არ ელოდა.

ელენე ქებაძე:

– სამწუხაროა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონი ხდები უკვე მეორედ და სპორტის სამინისტროდან აეროპორტშიც კი არავინ გხვდება, აღარაფერს ვამბობ პირადად შეხვედრაზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სპორტის მინისტრი ქალბატონია. კარგი, ალბათ არ სცალიათ, ყველაფერი გასაგებია. შესაძლებელია, რომ ყველაფერს თავისი ახსნა მოვუძებნოთ, მაგრამ იმ ფაქტზე რას იტყვით, როდესაც სპორტის სამინისტრო მოგილოცავს ფეისბუქზე და დღეს ვნახულობთ, რომ ეს პოსტი წაშლილია?! ძალიან სამარცხვინოა, რომ მილოცვა უკან წაიღეს.

არა უშავს, ვაგრძელებ ვარჯიშს და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი გულშემატკივარი და სრულიად საქართველო კიდევ ბევრჯერ გავახარო და ვასახელო!.

სამინისტრომ ჯერ მართლაც მიულოცა, შემდეგ მილოცვა წაშალა, მაგრამ ქებაძის სტატუსის შემდეგ პასუხი გასცა, სპორტსმენს მოპოვებული მედლებთან ერთად კუთვნილი თანხის აღება თავად დაამადლა და თან სპორტსმენს დააბრალა.

აი, რას წერს კულტურის სამინისტრო:

– ქალბატონო ელენე, ჩვენ ყოველთვის გვიხარია თქვენი წარმატება და დიდ პატივს გცემთ. რაკი თქვენ ასეთი უსამართლო პოსტი შექმენით, თავს ვალდებულად ვთვლით, რომ შეგახსენოთ იმ მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მხოლოდ ბოლო დროს სპორტის სამინისტრომ თქვენი წარმატებისთვის გაიღო სახელმწიფოს სახელით. ბოლო დროს, თორემ მხარდაჭერა მხოლოდ ბოლო დროით არ შემოიფარგლება და ამ სპორტის სახეობასაც უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ერთი სპორტსმენისთვის გაღებული სახსრებია. ეს მხარდაჭერა გაგრძელდება მიუხედავად იმისა, თუ რას დაწერთ კიდევ (დაგვამადლეს, აეროპორტში არ მოვიდნენ და სხვა).

1. თქვენ ყოველთვიური ხელფასი 1 050 ლარი გერიცხებათ სპორტის სამინისტროსგან;

2. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლის შესაბამისი პრემია 17 000 ლარის ოდენობით ჩაგირიცხათ სწორედ სპორტის სამინისტრომ;

3. 5 156 ლარი – მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა სპორტის სამინისტრომ დაგიფინანსათ;

მოსამზადებელი შეკრებები, ეკიპირება და მრავალი სხვა ხარჯი ასევე სპორტის სამინისტრომ დააფინანსა. მომავალშიც დიდ წარმატებებს გისურვებთ!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დავით არჩვაძე კონცერტის ორგანიზატორებმა მოატყუეს

მომღერალი დავით არჩვაძე კონცერტის ორგანიზატორებმა მოატყუეს. წინასწარი შეთანხმებით, მას ახალი წლის ღამეს კონცერტი საირმეში უნდა ჩაეტარებინა, რის გამოც უარი თქვა ამერიკის ტურნეზე.

ინფორმაცია გვერდმა „ხმები საქართველოდან“ გაავრცელა, რომელიც დათო არჩვაძეს ამერიკაში ეპატიჟებოდა:

– რომელ „შოუბიზნესზეა“ ლაპარაკი, სანამ ადამიანობას არ ისწავლით და ასეთი უპასუხისმგებლოები იქნებით! ბოდიში, დათო, მაგრამ უნდა ითქვას. ამდენ უნამუსობაზე ვიღაცამ უნდა ამოიღოს ხმა. საახალწლოდ გვინდოდა დავით არჩვაძის რამდენიმე კონცერტი ამერიკაში. სამწუხაროდ, უარი გვითხრა რადგან შეთანხმებული იყო უკვე სასტუმრო „საირმესთან“ და, მიუხედავად, მოგეხსენებათ, ჰონორარის სხვაობისა, მან თავისი შეთანხმება არ დაარღვია. შემდეგ უკავშირდებიან და 31 დეკემბრის კონცერტი გადააქვთ 6 იანვარს. ცუდია, როცა დალაგებულ გეგმებს აგირევენ, მაგრამ რა გაწყობა. ახლა აგებინებენ, რომ თურმე, სამწუხაროდ, დათო გამზადებული დაგეგმილი საღამოდან ამოიღეს. ასეთი არაპროფესიონალიზმი, ასეთი არაკოლეგიალურობა. საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს? ასე ხელის აღება საკუთარ სინდისზე, ადამიანობაზე, რის გამო გიღირთ? როცა სინდისი ხელს არ გიშლით, კანონი მაინც უნდა იყოს, თქვენისთანა უმსგავსოები რომ სათანადოდ დაისაჯონ. ასე ფულზე როგორ შეიძლება ყველაფრის გაცვლა, არ მესმის, რამ გაგამწარათ!

ამერიკაში იციან ხოლმე თქმა, ამერიკამ შეცვალაო. არაფერი და არავინ არ ცვლის ადამიანს. რაც ხარ, ყველგან ის ხარ. ვინც უნამუსო მანდ იყო, ის აქ ჩამოვიდა! გრცხვენოდეთ მართლა. ეს ხომ პირველი არ არის და არც უკანასკნელი იქნება! ბანერის შეცვლა არ დაგავიწყდეთ! სამარცხვინოა! ჯერ ადამიანობაა, მერე სიმღერა და სხვა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შვეიცარიაში ტბის ფსკერიდან 230 ლიტრი ჯინი მოიპარეს

შვეიცარიაში ტბის ფსკერიდან 800-კილოგრამიანი ბურთულა მოიპარეს, რომელშიც ალკოჰოლური სასმელი ჯინი იყო ჩასხმული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი კომპანია Ginial-ი სამი წელია, რაც 230 ლიტრ ჯინს ფოლადის ბურთულაში ასხავს, რომელიც შემდეგ ბეტონის პლატფორმაზე მაგრდება და ბოდენის ტბის ფსკერზე ათავსებს 100 დღით. ამგვარად სასმელი განსაკუთრებულ არომატს იძენს.

წელს ბურთულა ჯინით 23 მეტრის სიღრმიდან მოიპარეს. ამ დრომდე პოლიციას არ დაუდგენია, თუ ეს როგორ მოხდა. ქურდობის ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გამოვლინდა, როდესაც მყვინთავებმა ტბის ფსკერზე ჩაყვინთეს ჯინიანი ბურთულის ამოსატანად. მისმა ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

კომპანია Ginial-ის გენერალურმა დირექტორმა სელო ფიშმა აღნიშნა, რომ ბოროტმოქმედები ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ, ვინაიდან ფოლადის ბურთულის გადასატანად სპეციალური მოწყობილობაა საჭირო. კომპანიაში ასევე განაცხადეს, რომ 395 ბოთლი ჯინი, რომელიც უნდა ჩამოსხმულიყო, წინასწარ უკვე გაყიდული იყო.

შვედეთში ზოოპარკიდან გაქცეული ოთხი შიმპანზე მოკლეს

ოთხი შიმპანზე, მათ შორის სანტინოც, რომელმაც სახელი სურათების ხატვით გაითქვა, ზოოპარკიდან გაქცევის შემდეგ მოკლეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფურევიკეს ზოოპარკის ვოლიერებიდან რამდენიმე ცხოველმა დააღწია თავი. დაჭერის დროს იძულებული გახდნენ, ოთხი შიმპანზე ცეცხლსასროლი იარაღით მოეკლათ, ვინაიდან ისინი საფრთხეს წარმოადგენდნენ ადამიანებისთვის. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა სანტინო, რომლის ერთ-ერთი ნახატი პრინცესა ვიქტორიას აჩუქეს. შემდეგ კი შიმპანზეს ნამუშევარი ათი ათას დოლარამდე თანხად გაიყიდა. გარდა ამისა, სანტინომ იცოდა დაგეგმარება და ქვების შეგროვება, რომ შემდეგ ისინი სასროლად გამოეყენებინა.

– როდესაც მაიმუნებმა ვოლიერს თავი დააღწიეს, როგორც პარკში, ისე მის გარეთ მყოფი ადამიანები საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს იყო ისეთი კრიტიკული ვითარება, როდესაც სხვა გამოსავალი აღარ არსებობდა, გარდა მათი დახოცვისა, – განაცხადა ზოოპარკის დირექტორმა სანდრა უილკემ.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ როგორ მოახერხეს მაიმუნებმა ვოლიერებიდან თავის დაღწევა. ამ დროისთვის დაჭერილ და უკან დაბრუნებულ ცხოველებს ვეტერინარები აკვირდებიან. გარდა ამისა, მაიმუნები მოათავსეს ისეთ ვოლიერებში, საიდანაც გაქცევა ფაქტობრივად გამორიცხულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შენგელია იგებს, ანდრონიკაშვილს არ ათამაშებენ

ორიოდე თვეში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ ეტაპზე მნიშვნელოვანი მატჩები დარჩა. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა ფორმაში შეხვდებიან ჩვენებურები თებერვალს.

ეროვნული გუნდის გარკვეული ნაწილი ევროპულ ჩემპიონატებში თამაშობს. ჩვენთვის ძირითადად მნიშვნელოვანია იტალიისა და ესპანეთის პირველობები, სადაც ხუთი ქართველი ირჯება.

სერია ა-ში თორნიკე შენგელიას ვირტუს ბოლონია დომინაციას განაგრძობს. ბოლონიელებმა მორიგი მატჩი ბრეშაში მოიგეს – 89:77. გამარჯვებაში საკუთარი წვლილი ქართველმა ფორვარდმაც დაიდო.

შენგელიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 25 წუთში თავი 13 ქულას, 5 მოხსნასა და 2 პასს მოუყარა.

თორნიკემ 6-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც ამდენჯერ დაჯარიმდნენ. ქართველი მძიმე ფორვარდი სარგებლიანობის კოეფიციენტი 17-ს გაუტოლდა, რაც გუნდში მესამე მაჩვენებელი იყო.

ბოლონიელები ერთი გამარჯვებით უსწრებენ ოლიმპია მილანოს და სერია ა-ს სათავეში რჩებიან. მომდევნო მატჩი კი სტუმრად პეზაროსთან ელით.

დავრჩეთ იტალიაში, სადაც ბექა ბურჯანაძის რეჯიო ემილია დაძაბულ და დრამატულ მატჩში დამარცხდა. ჩვენებურის გუნდი ვენეციას მასპინძლობდა. გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო ორი დამატებითი ხუთწუთეული გახდა და საბოლოოდ, სტუმრებმა იმარჯვეს – 115:101.

ბურჯანაძე თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 14 წუთში 6 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. ბექამ ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა, 2-ჯერ დაჯარიმდა და მის წინააღმდეგაც თამაშის წესები 2-ჯერ დაირღვა.

რეჯო ემილიამ იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ მე-6 მარცხი განიცადა და 2 გამარჯვებით ბოლო ადგილზეა. ბურჯანაძის გუნდი მომდევნო შეხვედრას სტუმრად ბრეშასთან გამართავს.

გადავინაცვლოთ ესპანეთში, სადაც გიორგი შერმადინის ტენერიფემ ლიდერობა დაკარგა. ტენერიფელებმა ზედიზედ მოპოვებული 5 გამარჯვების შემდეგ წინა ტურში ხუვენტუდთან დამარცხდნენ, რასაც მადრიდის რეალთანაც წაგებაც მიაყოლეს და სამეფო გუნდს ლიდერობა დაუთმეს. მატჩი ტენერიფეში გაიმართა და მადრიდელთა გამარჯვებით – 80:67 დასრულდა.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 23:29 წუთში 10 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა. გიორგიმ ექვსიდან ოთხი ორქულიანი და ორივე საჯარიმო ჩააგდო, ერთხელ დაუფარეს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგიანობის მხრივ შერმადინი თანაგუნდელთაგან მხოლოდ ტიმ აბრომაიტისსა (15) და ბრუნო ფიტიპალდოს (14) ჩამორჩა, რეალის რიგებში კი 10 და მეტი ქულა ხუთმა კალათბურთელმა ჩააგდო.

საინტერესოა, რომ ბოლო მეოთხედში მადრიდელებმა ერთბაშად 7 სამქულიანი ჩააგდეს, რაც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა.

ტენერიფეს 9 მოგების წილ 3 მარცხი მოუგროვდა და, როგორც აღვნიშნეთ, ლიგა ენდესაში მე-2 ადგილზე დაქვეითდა, მომდევნო მატჩს კი გრანადასთან ჩაატარებს.

ესპანეთში გადასულ რატი ანდრონიკაშვილს თამაში თითქმის აღარ უწევს. ლიგა ენდესას მორიგ მატჩში მურსიას მთავარმა მწვრთნელმა ახალგაზრდა ქართველი მოედანზე მხოლოდ 45 წამით შეუშვა.

მეორე მხრივ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი უკანახაზელი თად მაკფადენი, რომელმაც მურსიელებს გრან კანარიას 99:85 დამარცხებაში დიდად დაეხმარა.

მაკფადენმა 24 წუთი ითამაშა და თავი 21 ქულას, 2 მოხსნას და 4 პასს მოუყარა. საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა 3-დან ერთი ორქულიანი, 7-დან 5 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მურსიამ მხოლოდ მეორე მეოთხედი წააგო, დარჩენილ მეოთხედებში კი მეტოქეს მარტივად აჯობა.

ქართველების გუნდი ჩემპიონატში 12 ქულით მე-10 ადგილზეა. მურსიას მომდევნო მეტოქე ჩემპიონატში უნიკახა იქნება, რომელიც მესამე ადგილზეა.

სანიოლი კვარაცხელიას აქებს, ხვიჩა კი ოქროს ბურთის ტოპათეულშია

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა იტალიურ მედიასთან ისაუბრა. ცხადია, საუბარი ხვიჩა კვარაცხელიას შეეხო, რომელიც საქართველოს ნაკრებში სანიოლის შეგირდია.

მუსიე ვილის ნაპოლიში 21 წლის ქართველი ფეხბურთელის პროგრესი მოსწონს და იმედი აქვს, რომ ჩვენებურის განვითარებაში წვლილს ლუჩანო სპალეტიც შეიტანს.

ვილი სანიოლი:

– კვარაცხელიას ყველა განსაკუთრებულად აკვირდება, რადგან ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში მისი პროგრესი თვალსაჩინოა. ხვიჩას შესანიშნავი საფეხბურთო თვისებები ყოველთვის ჰქონდა, ამიტომაც იტალიურ ფეხბურთში თავის დამკვიდრება სწრაფად შეძლო.

ხვიჩამ შედეგიანობასაც მოუმატა. მოგეხსენებათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე ფეხბურთში გარკვეული სტატისტიკური მონაცემები. მისგან შედეგიან თამაშს ნამდვილად მოველოდი, მაგრამ კვარაცხელიამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ნაპოლი ის გუნდია, სადაც კვარაცხელია უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ არის თუ არა მისი შესაფერისი? ჯერჯერობით, ასეა, მაგრამ კვარაცხელიას შემთხვევაში, ამაზე მტკიცებით საუბარი შეუძლებელია. ვფიქრობ, სადაც არ უნდა თამაშობდეს, მისთვის მთავარია, მწვრთნელის მხრიდან ნდობა ჰქონდეს. მას სპალეტისთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს და, დარწმუნებული ვარ, ეს მის ზრდას წაადგება.

ხვიჩა ამბიციურია როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. ყველა კომპონენტი დააბალანსა იმისთვის, რომ ძალიან მაგარი კარიერა აიწყოს. ბევრი ფეხბურთელს სურს, საუკეთესო იყოს, მაგრამ საამისოდ ყველაფერს არ აკეთებს. ხვიჩა ამ კუთხითაც განსხვავებულია.

ამასობაში პოპულარულმა ვებგვერდმა გოალ.ქომ-მა მუნდიალის დასრულების შემდეგ „ოქროს ბურთის“ საკუთარი რეიტინგული ვერსია განაახლა, სადაც ახლახან გამხდარი მსოფლიოს ჩემპიონი ლეო მესი ლიდერობს, ხოლო მეორე ადგილზე საფრანგეთის ნაკრების შემტევი კილიან მბაპეა.

აღსანიშნავია, რომ ხვიჩა კვარაცხელია ერთი ადგილით დაქვეითდა და ახლა მეათეა, რადგან ათეულში ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატის მომგებმა არგენტინელმა ხულიან ალვარესმა შეაბიჯა.

„ოქროს ბურთის“ განახლებული ტოპათეული ასე გამოიყურება:

1.ლიონელ მესი (არგენტინა/პსჟ);
2.კილიან მბაპე (საფრანგეთი/პსჟ);
3.ერლინგ ჰოლანდი (ნორვეგია/სიტი);
4.ნეიმარი (ბრაზილია/პსჟ);
5.რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი/ბარსელონა);
6.ვინისიუსი (ბრაზილია/რეალი);
7.კევინ დე ბრუინი (ბელგია/სიტი);
8.ხულიან ალვარესი (არგენტინა/სიტი);
9.მოჰამედ სალაჰი (ეგვიპტე/ლივერპული);
10.ხვიჩა კვარაცხელია (საქართველო/ნაპოლი).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მანჩესტერმა თვალი ნიდერლანდელებს დაადგა

დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა და გუნდებიც უმალ დაფაცურდნენ. განსაკუთრებით აქტიურობს მანჩესტერ იუნაიტედი, რომელმაც თვალი ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელს დაადგა.

ერთ-ერთი მათგანი ნიდერლანდელი თავდამსხმელი კოდი გაკპოა. ჭორები იმის შესახებ, რომ ინგლისური გრანდი პსვ-ს ვარსკვლავის იანვარში გადაბირებას ეცდებოდა, დიდი ხანია გავრცელდა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 23 წლის ფეხბურთელისთვის ბრძოლაში ლივერპული, ლონდონის არსენალი, მადრიდის რეალი და მიუნხენის ბაიერნიც არიან ჩართულნი.

ბრიტანული მედია წერს, რომ „წითელმა ეშმაკებმა“ გაკპო იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პრიორიტეტულ სამიზნედ დაასახელეს.

ახლა მთავარი კითხვაა, არის თუ არა კლუბი მზად, დააკმაყოფილოს ნიდერლანდური მხარის მოთხოვნები, რომელიც თავდამსხმელის გაყიდვიდან სოლიდური თანხის გამომუშავებას ელის.

შეგახსენებთ, კოდი გაკპომ კატარში მსოფლიო ჩემპიონატის ხუთ მატჩში სამი გოლი გაიტანა.

თუ მანჩესტერი გაკპოს გადაბირებას ვერ მოახერხებს, ინგლისელები ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელის დუშან ვლაჰოვიჩის შეძენითაც დაინტერესდებიან.

გავრცელებული ცნობით, ვლაჰოვიჩი იუვენტუსში ყოფნით კმაყოფილი არ არის. ტურინელთა ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში სერბის გადაწყვეტილებას ელოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ტრანსფერზე დააყენებენ.

იუნაიტედისა და ერიკ ტენ ჰაგის პირად რადარზე ბარსელონის ნახევარმცველი ფრენკი დე იონგი კვლავ აქტიურად იმყოფება.

ინგლისური გიგანტი გასულ ზაფხულსაც ცდილობდა ნიდერლანდელის კონტრაქტის შესყიდვას, თუმცა რიგი მიზეზების გამო გარიგება არ შედგა.

ბრიტანული მედიის ცნობით, „წითელი ეშმაკების“ მთავარი მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ დე იონგი მის გუნდს შემოქმედებით ნახევარდაცვას შემატებს.

ასევე ვარაუდობენ, რომ თავად ფეხბურთელი, მიუხედავად საჯარო განცხადებებისა, რომ ბარსელონაში დარჩენის სურვილი აქვს, მზადაა, ყოფილ მენტორთან ისევ გაერთიანდეს.

დე იონგი არ არის ერთადერთი ვარსკვლავი ნახევარმცველი, რომელსაც მანჩესტერი უთვალთვალებს – კლუბი ასევე აპირებს ჯუდ ბელინგემისთვის შეთავაზების მომზადებას, რომელიც დორტმუნდის ბორუსიაში ასპარეზობს.

ესპანელები იმასაც წერენ, რომ მანჩესტერს დატოვებს მეკარე დევიდ დე ხეა. უკვე ღიად იწერება, რომ მანკუნიანელები ესპანელთან კონტრაქტს არ გაახანგრძლივებენ.

დე ხეას ამჟამინდელი კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა გათვლილი, თავად ფეხბურთელს დარჩენა სურს, მაგრამ ტენ ჰაგს გუნდში ახალი მეკარის ხილვა სურს.

ნიდერლანდელი სპეციალისტი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ თამაშობს დე ხეა ფეხით. ნიდერლანდელი სპეციალისტის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ეს ასპექტი გაუმჯობესებული იყოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ქალეიდოსკოპი

გერმანიაში დრეზდენის მუზეუმიდან გატაცებული საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილს მიაგნეს

გერმანელმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს დრეზდენის მუზეუმიდან გატაცებული კულტურული ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის თაობაზე ინფორმაცია საქსონიის სახელმწიფო კანცელარიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

მიმდინარე წლის 16-17 დეკემბრის ღამეს დრეზდენის პროკურატურისა და საქსონიის ფედერალური მხარის თანამშრომლებმა ბერლინში 31 გატაცებული ნივთი ამოიღეს, მათ შორის ქუდის სამკაული და ბრილიანტებით შემკული პოლონური თეთრი არწივის სამკერდე ვარსკვლავი.

აღსანიშნავია, რომ ნაპოვნი საგანძური დრეზდენში პოლიციის სპეცდანაყოფის დაცვის თანხლებით იქნა გადატანილი. მათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდებათ, შემდეგ კი მათი ნამდვილობის დასადასტურებლად დრეზდენის სახელმწიფო სამხატვრო საკრებულოს სპეციალისტებს აჩვენებენ.

აღსანიშნავია, რომ ქურდობა 2019 წლის 25 ნოემბერს მოხდა. წინასწარი მონაცემებით, ბოროტმოქმედებმა გადაწვეს ტრანსფორმატორი, რომლის გამოც დენის გარეშე დარჩა ქალაქის რამდენიმე მუზეუმი. თავდაპირველად გამოცხადდა, რომ მუზეუმმა მილიარდი ევროს ზარალი განიცადა, თუმცა შემდეგ „დრეზდენის სახელმწიფო სამხატვრო საკრებულოს“ დირექტორმა მარიონ აკერმანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ზარალის ზუსტი ოდენობის დასახელება შეუძლებელია, ვინაიდან გატაცებული ნივთების ისტორიული ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ცალკეული ძვირფასი ქვების ღირებულებას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 2. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 3. „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის მსუბუქი ავტომობილი; 4. მთავრობის წევრი; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 11. ტაძარი ქუთაისში; 12. წყლის ნაპირებთან ბინადარი კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 14. ქალის ან ყმაწვილის დაბალი სასიმღერო ხმა; 16. მეტროს სადგური თბილისში; 17. გემის ხელსაწყოების ერთობლიობა; 19. სპორტული სარბოლო ავტომობილი; 21. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანული ბილიარდისტი.

თარაზულად: 5. ზღვის დიდი ათფეხა კიბორჩხალა, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 6. ღვინის წარმოების ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში; 7. ნაოსნობისთვის გამოსადეგი წყლის სივრცე; 10. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 15. გულში ნადები ბოღმა; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 20. უძველესი უნივერსიტეტი მადრიდში; 22. ფარისევლური ქცევის, მეშჩანი, ობივატელი ადამიანი; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 24. საზღვაო ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაზაძე; 2. რაბინი; 3. მზისა; 5. არვე; 6. როკაპი; 8. ალგეთი; 11. კონვენცია; 13. მეეზოვე; 14. კუმურდო; 15. ყაზბეგი; 19. ლიდა.

თარაზულად: 1. ბარბარიზმი; 4. ლატავრა; 7. ზაგრები; 9. სტალონე; 10. რკონი; 12. კლემენსი; 16. ვიქტორია; 17. თევერეი; 18. თურაშაული; 20. ისტვუდი; 21. მექა; 22. გერმანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დაგერი; 3. მალბორო; 3. მარაკეში; 4. სტაჟიორი; 8. კურვუაზიე; 9. სინტოიზმი; 11. მირიანი; 12. დალი; 14. არქი; 16. პლასტიკა; 17. მარიფათი; 19. ალიევი; 21. მოცვი.

თარაზულად: 5. ფართინგი; 6. ელინისტი; 7. ბარსელონა; 10. ბელუჩი; 13. დონორი; 15. ფლაიერი; 18. პლაზმა; 20. ირონია; 22. პრიმატორი; 23. მკათათვე; 24. კვარიათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

21 დეკემბერი

- აშშ დოლარი — **2.6667**
- ევრო — **2.8368**
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.2443**
- 100 რუსული რუბლი — **3.8635**

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბრისათვის



მბაპე: „ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით“

პსჟ-სა და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა კილიან მბაპემ განაცხადა, რომ აუცილებლად დაბრუნდება და ნაკრებთან ერთად კიდევ მოიგებს ტიტულებს. მბაპეს აზრით, ეს შესაძლოა უახლოეს მომავალში მოხდეს: „ძალიან მტკივნეული მარცხი განვიცადეთ, მაგრამ ეს ფეხბურთის ნაწილია და ყველამ უნდა იცოდეს, რომ საფრანგეთის ნაკრები აუცილებლად იტყვის მომავალში თავის სიტყვას. ჩვენ მოედანზე ყველაფერი გავიღეთ, მაგრამ იღბალი ჩვენ მხარეს არ იყო“.

ლიონელ სკალონი: „ამ გამარჯვებას მშობლებს ვუძღვნი“

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლიონელ სკალონიმ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ამ გამარჯვებას მშობლებს უძღვნის, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში მხარში ედგნენ: „მშობლები ყოველთვის გვერდში მედგნენ. ისინი ამჟამად ზეციდან მიყურებენ და ჩემი წარმატება ძალიან უხარიათ. ამ გამარჯვებას სწორედ მათ ვუძღვნი“.

ტომას მიულერი: „ჩვენ საუკეთესო ფინალი ვიხილეთ“

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ფორვარდმა ტომას მიულერმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ მსოფლიომ საუკეთესო ფინალი იხილა და ის ბედნიერია, რომ მესიმ ნანატრი ტიტული მოიგო: „მესიმ ეს გამარჯვება დაიმსახურა და მის გამო ბედნიერი ვარ. ჩვენ შესანიშნავი ფინალი ვიხილეთ, რომელიც მუდმივად გვემახსოვრება. ფეხბურთი ყოველთვის გვაკვირვებს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჩოხოსან რაინდთა დასი 17 წლისაა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი იუბილარია. მას დაარსებიდან 17 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეზე ჩოხოსნები თავმჯდომარის, პროფესორ გოგი დოლიძის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს. კრებაზე მიწვეული იყვნენ ჩოხოსნები როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. ტრადიციულად, დასში მიიღეს ახალი წევრებიც.

ბოლო 3 წელია, პანდემიის გამო დასის წევრებს შეხვედრა არ გაუმართავთ, თუმცა ჩოხოსნებს მნიშვნელოვანი თარიღები აღნიშვნის გარეშე მაინც არ დაუტოვებიათ.

ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელს, პროფესორ გოგი დოლიძეს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ფონდმა. დასის დაარსებიდან მე-17 დაბადების დღეზე გოგი დოლიძე ცნობილი ოპერის მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ოქროს მედლითა და სიგელით დაჯილდოვდა. ჯილდო გოგი დოლიძეს ფონდის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, პროფესორმა გურამ ქაშაკაშვილმა გადასცა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 დეკემბრისათვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილსმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიები** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– არ გეჩვენება, რომ დაქორწინების შემდეგ მამაკაცები ჭკვიანდებიან?

– რა თქმა უნდა, თუმცა უკვე გვიანია...

●●●

– რატომ თხოვდებიან ქალები?

– ცხოვრებისეული გამოცდილების ნაკლებობის გამო.

– და რატომ ეყრებიან?

– მოთმინების უნარის ნაკლებობის გამო.

– და ისევ რატომ თხოვდებიან?

– მეხსიერების ნაკლებობის გამო.

●●●

ქალმა წითურთმიანი ბავშვი გააჩინა და ექიმს ევედრება, მის გასამართლებლად რამე მოიფიქროს, ვინაიდან არც მის და არც მეუღლის გვარში წითური არავინ ჰყოლიათ.

ექიმი ქალის ქმარს თავისთან უხმობს და ეკითხება:

– მეუღლესთან სექსი როგორი ინტენსივობით გქონდათ?

– ასე... ორ თვეში ერთხელ.

– ჰოდა, აი, ნახეთ, რა შედეგი გამოიღო თქვენმა დაჟანგებულმა ღირსებამ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– შენი მეზობელი ცოლ-ქმარი ერთმანეთს რატომ დაშორდა?

– ქმარი სასწორი იყო, ცოლი – ქალწული...

– მერე?

– სასწორი გაფუჭდა, ქალწული გასუქდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჟირაფი ჟოზე საახალწლო კონცერტებს ჩაატარებს

პატარებისთვის საყვარელი ანიმაციური გმირი ჟირაფი ჟოზე საახალწლო კონცერტებს ჩაატარებს.



23 დეკემბრიდან 3 დღის განმავლობაში ჟოზე და მისი მეგობრები მაყურებლებს კინოთეატრ „ამირანში“ ქართველ თოვლის ბაბუასთან ერთად დაელოდებიან, სადაც პატარებს ბევრი საჩუქარი და სიურპრიზი დახვდებათ.

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ნინუცა მაყაშვილმა დატოვა

მსახიობმა ნინუცა მაყაშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა. მასთან ერთად გავარდნის კანდიდატად ალექსანდრე წივწივაძე დასახელდა. მაყურებლებმა ხმების უმეტესობა ალექსანდრეს მისცეს, ამიტომ ნინუცა შოუს გამოემშვიდობა.

ლათინური ცეკვების ტურში მაყურებლისა და ჟიურის წინაშე 6 წყვილი წარდგა. ერთი წყვილის შოუდან წასვლის შემდეგ დასახელდა საუკეთესო ხუთეული. ბაბი კირკიტაძე, თათა გიორგობიანი, ალექსანდრე წივწივაძე, ნიკო ნანიტაშვილი და ვანესა გუტიერესი პროფესიონალ მოცეკვავეებთან ერთად მაყურებლის წინაშე 31 დეკემბერს წარდგებიან და ათასობით მაყურებელს დამდეგ ახალ წელს მიულოცავენ.

„იუმორინას“ ვარსკვლავი გაუხსნეს

„იუმორინა 2023“-ის დასკვნითი კონცერტის შემდეგ ფილარმონიის წინ „იუმორინას“ ვარსკვლავი გაიხსნა.

ინფორმაცია გია ბაღაშვილმა გაავრცელა:

– მადლობა ჩვენს მეგობრებსა და კოლეგებს, „იუმორინას“ გუნდის სხვადასხვა თაობის წევრებს. ეს ვარსკვლავი თითოეულ მათგანს ეკუთვნის!

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ძვირფას მაყურებელს წლების მანძილზე გამოხატული სითბოს, ყურადღებისა და ერთგულებისთვის! სწორედ თქვენი დამსახურებაა, რომ „იუმორინა“ უკვე 23 წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, „იუმორინამ“ 700-ზე მეტი კონცერტი ჩაატარა სრული ანშლაგით! ეს ვარსკვლავიც, პირველ რიგში, თქვენი თანადგომის შედეგი გახლავთ! დიდი მადლობა ყველას!

თენგიზ მუშკუდიანის 95 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება

ოპერის მომღერლის, ემერიტუს თენგიზ მუშკუდიანის 95 წლის იუბილე კონსერვატორიაში კონცერტით აღინიშნება.

მცირე დარბაზში 22 დეკემბერს გოჩა დათუსანი და მისი მოსწავლეები: ზურაბ ავაგუმაშვილი, ტატო ახმეტელი, ნიკა ეკალაძე, ზურა კობიაშვილი და ვალერიან რობანიშვილი იუბილარ მომღერალს ვოკალური მუსიკის განსაკუთრებულ საღამოს ჰპირდებიან.

გიგა კვენეტაძემ და ეთერ ბერიაშვილმა დუეტი ჩაწერეს

მომღერლებმა გიგა კვენეტაძემ და ეთერ ბერიაშვილმა დუეტი ჩაწერეს.

სიმღერის ავტორი გიგა კვენეტაძე კომპოზიტორი და მომღერალი, არაერთი ჰიტის ავტორია. მის სიმღერებს ჯგუფი „ა სტუდიო“ ასრულებს.

ეთერ ბერიაშვილი სხვადასხვა მუსიკალური შოუს მონაწილეა. „ვოისში“ მან ნამდვილი ფურორი მოახდინა, შოუში „ა ნუკა ვსე ვმესტე“ კი ჟიურის ერთ-ერთი წევრია.

გიგასა და ეთერის დუეტი ინტერნეტში უკვე განთავსდა და მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გიორგი კალანდია დაჯილდოვეს

ისტორიკოსი გიორგი კალანდია მეცნიერებათა აკადემიამ დაჯილდოვა. იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ საპატიო სიგელი გადასცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ გიორგი კალანდიას ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის:

– დიდი მადლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელ პრეზიდიუმს, პრეზიდენტს, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძეს, ჩემს მასწავლებელს, აკადემიკოს როინ მეტრეველს! ჩემთვის ეს ჯილდო დიდი პატივია.

ზაზა ხალვაშის უკანასკნელი ფილმის პრემიერა როტერდამში გაიმართა

როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე რეჟისორ ზაზა ხალვაშის უკანასკნელი ფილმის „ლოტოს“ პრემიერა გაიმართა.

ინფორმაცია მისმა მეუღლემ ნინო პაპუნიძემ გაავრცელა:

– ზაზა ხალვაშის „ლოტოს“ მსოფლიო პრემიერა როტერდამის კინოფესტივალის კონკურსში. არაჩვეულებრივ, მაგრამ სევდიან აღწერაში ფილმი ზაზას საყვარელ რეჟისორებთან ბელა ტარისთან და აკი კაურისმიაკთან არის შედარებული. ნამდვილად გაიხარებდა ზაზა. გილოცავ, ჩემო სიყვარულო, მეამაყები და მენატრები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ↘



შვეულად: 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ბრიტანული ყველი; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. რკინის მადნისგან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. თონეში გამომცხვარი პური; 8. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 11. დოღი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლებათა გადალახვით; 13. საქართველოს იუსტიციის მინისტრი; 14. უმაღლესი ხელისუფლების დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 19. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული კომპანია.

თარაზულად: 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 4. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 7. რბილის ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 10. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 12. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 16. სპილენძის შემცველი ხასხასა მწვანე მინერალი; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე მონაკოელი ავტომრბოლელი; 18. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 20. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 21. წყლის დიდი ზომის ფრინველი; 22. ფრანგული ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა